

藏文大字報
第五回

№ V

甲子年

1909

მინარესი

ეგვიპტი „კავკასია“

I	ტყეში. სურათი,	2
II	მაისი, ლექსი დადო ბებმჭვარისა	3
III	ტოროლა პატარა ამბავი	5
IV	მოტყუებული ლომი	6
V	ჯადოსანი ნივთები ზღაპარი ბერნშტეინსა (თარგმანი) ან. წერეთლისა.	7
VI	მეგაზეთე ვასო (დასასრული) ტ. გევზეაძისა	20
VII	პკვინი ლორი (სურათზე დაწერილი ამბავი)	31
<hr/>		
VIII	„კაბუნ, დეიზინ“ მოთხრობა ჯენზეი მურაისა (და- სასრული) ალ. ნათაძისა	32
IX	ხე—ბუმბერაზი (ხუთი სურათი) ალექსი ჭიჭინაძისა . .	39
X	ექიმი ისააკის განსაცდელი (გაგრძელება) თარგმანი ან. წერეთლისა	45
XI	ჩლახუნა დათუნია, (დასასრული) თარგმ. მ. იაშვილისა	52
XII	ეგნატე ნინოშვილის ხსოვნას. სილიბ. თავართქილაძისა.	5


საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

ჭიჭინაძი,

დარსებულია 1890 წელს

გამოფა თვეები ერთსეული. ჟურნალი თრი განეო-
ფილებაა პატარებისთვის და მოზრდილთათვეს ფასი
წლიური: ქალაქ გარეთ 5. მ. ქალაქში 4 მ. ცალკე
ნომერი 40.

აღრესი: არტილერიის ქუჩა № 5.



କାନ୍ଦିମାର୍ଗିଙ୍ଗର ନାକାରୀଜୀବିନି
ଶତରନ୍ଧୀ

ପଞ୍ଚାରଙ୍ଗେ, ମହିନାରେ ଅଧିକରଣ,
ରାତ୍ରିରେ, ଗାନ୍ଧି ଯାନ୍ତାର!...
ନ. ୫.

ମାର୍ଚ୍ଚି, 1909

ପାଠ୍ୟପତ୍ର ମାର୍ଚ୍ଚି ୧

ପାଠ୍ୟ ପତ୍ର ନଂ ୧
ଏଲାକ୍ଟରିନିମିଡିଆର୍କିଙ୍ଗ୍ ଅଥ. „ଶରୀରମା“, ରୂପିକାଳି ପ୍ରେସ୍, ନଂ ୩.
1909



ଓংং




კიძ, რა დილა, რა ტურთა,
 რა მომხიბელელი გულისო,—
 მოპტანი ტყბილი სიცოცხლის,
 შვების და სიხარულისო!

 მზისა ცხოველი სხივები
 აბრეჭებალებენ ნამსაო,

 ოქროს-ფრად აელვარებენ
 კოკიაბად შლილება კარდსაო.

 მთიდან სხეულს წეარო ანკარა,
 მოსტის და მოიმღერისო; კა
 ქაფს ისვრის... ბუჩქარ კლდებში
 მას ნავარდობა შვენისო!

 მერცხელი ნაზად ჭიპჭიგებს,
 ბულბული მღერის სტვენითო:
 მთელი მიდამო აღვსილა
 სიკეთით, შვება-ლხენითო!



მდელოს სიმწანე ამშვენებს,
 ბაღს — გარდი გაფურჩხებილიო,
 ენას — ჯეჯილის ბიბინი, —
 თაველი ძირს დასრილიო.

ნიავი ხელად დაქროლავს,
 მრავლი გააქვს ტექსტო;
 ნაღირიც შვებას ემლება,
 შეჭხარის დღეის-დღესათ!

კურდღელი ჩირგვში იმალვის,
 აუცქვერია უკრიო;
 იქ ახლოს მწერიც დაცოცხავს,
 ლამაზი მისებურიო.

შაშვი კისკისით, ურთხიალით
 ამკობს მიდამოს ტექსტიო;
 თვის ბუდეს უვლის, გაურბის
 კლანჭებსა ნადირისასი.

მონადირენა ნადირობს,
 თან დააქვს მაჭახელბო;
 თოფი მიზანში აიღო,
 მოჰკლა ცუნცულა მელათ.

ზარია ქოჩო სწავლისთვის
 მიდის შეოლისკენ სტუნგითო,
 ვარდისა კონაც თან მიაქვს,
 ეალერისება ხვევნითო!

ვიშ, ოა დილებ, ოა ტურფა,
 ოა მომხიტვლელი გულისო, —
 მომტანი ტებილი სიცოცხლის,
 შვების და სიხარულისო!

ლადო გეგეჭკორი.

ტოროლა.



ერთხელ ქორი გამოუდგა ტო-
როლას, ის იყო უნდა დაქ-
ვირა. ამ დროს ტოროლამ დაისახა მდი-
ნარის პირად მჯდომი კაცი. მიურინდა
იმასთან და ნდობით კალთაში ჩაუგარდა,
თითქოს შველასა სთხოვდა. კაცმა მა-
მინვე ტოროლა წაიყვანა თავისთან სახლში; როდე-
საც ქორმა ჟერა გააწეორა და მიიმალა მთების გა-
დადმა, კაცმა ტოროლა ისეგ გაანთავისუფლა.



მოტეული ლომი.



ლომი გამოუდგა ქაცი. შემინებულ ქაცი უნდა თბეთ და ედწია. ამას წინ გმიბა ნაპრალი იყო. ერთ წამს ქცი მიგვარდა ნაპრალის ხაზირას, გაიხვდა ჩასაცმელი. მოსხედა ქუდი და ორივე ჩამოაცვა ჯოსნე და ჟერ ნაპრალის პირზე დაშორდა. ლომმა ქაცათ მიიღო საფოხული და მიგარდა გასახლებათ. ობდგას საფოხული ჲერ ნაპრალის თავზე იყო, ლომი ნაპრალში გადაჭრდა. ქაცმა ქომასწრო გაქცევა.



ჯადოსანი ნიგოზები.

ზღვაში ბეჭედისა.



რდილოეთის ზღვის პირათ ცხოვრობდა ერთი ძლევა-მოსილი სელმწიფე, რომლის სამფლობელო უსამზღვრო იყო და აუზრუბა სომალიების პატრონათ ითვლებოდა. ამ სელმწიფეს სამი ვაჟიმებილი ჰქავდა. ორდენ საც ისინი მოიზარდენ უნდა ზღვით გამგზავრებული-ებნ, რომ დახელოვნებულიერება ვაჟებაცობაში და სიძირი შეეძინათ.

სელმწიფემ გასცა ბრძანება, მოემზადებინათ სამი ასალი დიდი სომალი და ეს სომალიები აჩუქა სა-თითარათ თავის შვილებს. მერე ჰყითხა თავის კი-როსს შვილს: „რას აპირებ, შვილი, როგორ უნდა მოიხმარო ჩემი ნაჩექარი სომალდით.“

— „მე გავემგზავრები აღმოსავლეთისაკენ და იქ მოვიჩოვებ დიდ სიძირი ეს“.— მალიან კარგი შვილო, უთხრა სელმწიფემ, გასწი, გზა დამიღოცნია.

მერე სელმწიფემ ჰყითხა მეორე შვილს:

— შენ რადას ააირებ, შვილო, როგორ მოიხმარ ჩემ საჩუქრეს.

— მე, მამილო, დასავლეოისკენ წავალ, უთხრა შუათანა შვილმა, იქ აღმოვაჩენ ახალ ქვექნებს და იქიდან მოუიტნ ბევრ თვალ. მარგალიტს, ოქონ და ვერცხლს.

— ძალიან გარგი შვილო, გახტი, გზა დამილოცნია, უთხრა ხელმწიფებ შუათანა შვილს.

ბოლოს მამა მიუბრუნდა უძროს შვილს. — „მწ რადას ააირებ, შვილო, როგორ მოიხმარ ჩემ საჩუქროს?“ — ჩემო ხელმწიფე — მამავ, უასეუსა უძროს შვილმა, — მე მინდა ბედს ვეწიო, სასელი მოვიხვეჭო, გაგხდე ღირსი თქმენი სიკვარულისა. წავალ იქით, საითაც ბედი გზას მიჩვენების.

ამ ჰასუხმა გააოცა ხელმწიფე, ის არ მოეღოდა ამას, მაგრამ ამაზე არაფერი უთხრა. — მაღლიან მესიამოვნა შენი გადაწმვეტილება. წადი, ბედს ეწიე!

მეორე ხელმწიფე გამოსასალებლათ შვილებს სადიმი გაუმართა და მეორე დილას სამივე შვილები თავიანთი სოდელდებით გზას გაუდგენ. რამდენიმე სანს მმები ერთათ მიემგზავრებოდენ, როდესაც შევიდენ შეა ხდებამი — სხვა და სხვა მხარეს გახტიეს. ერთი წავიდა აღმოსავლეთისაკენ, — მეორე დასავლეთისაკენ და მესამე სამხრეთისაკენ. რომელიც აღმოსავლეთისაკენ წავიდა ის მართლაც ვერცხლით სავსე ქვეყანას მიადგა. იქ იმდენი ვერცხლი იუთ, რომ ხო-

ჰლიდ აუარება კერცხლით დატვირთა, იმოდენა ჩაა-
 წო, რამდენსაც დაიტევდა ხომალდი. დასავლეთის-
 კენ გამგზავრებულ მძას უფრო შორს მოუხდა წა-
 სვლა. მაგრამ ის მიადგა ოქროთ სავსე ქვეუას და
 იმდენათ დატვირთა ხომალდი ოქროებით, რამდენსაც
 დაიტევდა. ორივე მმებმა გამოსწიეს შინისკენ ოქრო-
 კერცხლით დატვირთულნი და სამშვიდობოს მოახწიეს.
 აქ შინაურები დიდი გახარებულნი დაუწვდენ.

მესამე მძამ, რომელიც წავიდა სამხრეთისაკენ,
 კერც აქრო-ვერცხლი იპოვა და კერც ახალ ქვეუას
 მიაგნო. პირ იქით საშინელ გაჭირვებაში ჩაუარდა, სა-
 ზრდო გამოელია. ერთხელ ემაწვილმა შორიდან შავი
 წერტილი დაინახა და მაშინვე იქით გაემართა. მწერ
 არ ჰქონდა, რომ იქ პურს მათნც იშოვიდა. როდესაც
 იმ წერტილს მიუახლოება თვალ წინ გადაემალა ხრი-
 ყი კუნძული, რომელიც ცარიელი კლდე-ღრე იუო.
 გმიონებოდა „სიკვდილის მომახწვებელიათ“. ემაწვი-
 ლი სამი დღე და დამე უკლიდა კუნძულს, მაგრამ მე
 ხორციელი კერავინ ნახა და საზრდოც კერავერი
 იმუჯა.

მესამე დღეს სელმწიფის მვილს ისე მოძივდა,
 რომ გულ შემოურილი დაეცა. როდესაც გონზე მო-
 ვიდა და თვალები აახილა, დაინახა რომ თავზე ადგა
 ერთი მშვენიერი ემაწვილი ქალი, ის თანაგრძნობით
 შესცემოდა. მერე ჰქითხა: „ვინა ხარ, საიდან გა-
 ნდი“. — ნეტავი სულაც არ მოვსულგიუავ, ამოიკვნე-

სა ემაწვილმა, — მე ხელმწიფის შვილი ვარ, კარგა ხა
 ნია პირში ნაწილი არ ჩამსვლია, სიმშილით ვკვდები,
 „თუ მხოლოთ მაგაზე ხწუხართ — ეგ უზრალო საქმეა,
 მე ვიზრუნებ თქვენსე, წამომყევით.

ხელმწიფის შვილს ჭეციურ გაღობათ ჟემოქტა
 ეს სიტყვები. ემაწვალმა ქალმა მიღებანა ას ერთ პა-
 ტარა სახლში, იქ ჯარას უჯდა ერთი მოხუცებული
 დედაკაცი. ემაწვილმა ქალმა მიჭრართა იძას შეძევი სიტ-



ევებით: საუგარელო დედობლო, მაღიანა გთხოვ, მო-
 მეცი ამ ხელმწიფის შვილისთვის, ოომულიც სიმძ-

ლით კვდება „სატვრის სეფოა“. მე ამას დავშირდი გაჭმევ მეთქი და ჩემ სიტყვას სოდ არ გაძატებანებ!..“

მოხუცებულმა უნგბურათ გაადო ჲანდუკი და იქმა-
დან ამოილო ტილოს სუფრა, ოომელზედაც სელოვა-
ნურად გამოუყანილი იყო ძველებური სახეები. გარ-
შემო ფოჩი კვლო, გადააფარა მაგიდას და ჩუმათ წარ-
ბუტბურა:

ნატერის სუფრავ გაიშალე

ა წამე და ასევი ბლომათ.

მოხუცებულს არ გაეთავიშინა ამის თქმა, რომ
სუფრაზე ერთ წამს გაჩნდა რა გინდა სულო და გუ-
ლო. ესტვილმა ქალმა სტუმარი მიიპატიე. მოძივე-
ბულ ხელმწიფის შვილს უკელაყერი ისე გემრიელათ
ქვეუძბოდა, თითქოს თავის სასახლეებიც არასო-
დეს არ შესაძლო ასე გემრიელათ. ბოლოს ხელმწი-
ფის შვალი, თუმცა მოხიბლული იერ ესტვილი ქ-
ლით, გამოესალმა იმას და დაბაირა წასკლა. ქალმა
ხოხოვა მეც თან წამიუგანერ. ამასე ხელმწიფის შვილა-
მა უნასუსა: „ახლა კერ წაგიუგან, რადგან არ გიცი-
რა მომელის, იქნება დავიღუბო, მაგრამ იცოდე, თუ
ბედს გეწიე, მოგალ და წაგიუგანო. — მაშ მისუქებია ბენ-
თვის ეს „ნატვრის სუფრა“, უთხრა ემაწვილმა ქალ-
მა, — ჩემ სასსოფრათ გქონდეს, არავის მისცე და ნურც-
მე დამივიწევ.

ხელმწიფის შეიღი გახარებული დაბრუნდა თავის ხომალდზე. იქ მშერი მეზღვაურები დაუხვდეს. ამან-

არაფრად ჩაგდო იმათი სიმშილი, ხოლო უბრძანა დაედგათ ისეთი დიდი მაგიდა, რომ ეველა მოთავსებულიყო, ზედ გადაქალა ნატერის სუფრა და თან ხოტება:

ნატერის სუფრავ გაიძალე,
აჭამე და ასვი ეგილას.

უციბათ სუფრაზე გაჩნდა აუარება საჭმელ-სასმელი, რა გინდა სულო და გულო რომ იქ არ იქო. მეზდგაურებმა თვალები დააჭირეს. სვეს და სჭამეს იძღენი, რამდენიც შექმლოთ, მერე გაუდგენ ისევ გზას.

საღამო ჟამს ხომალდი მიადგა ახლა სხვა კუნძულს, რომლის დათვალიერება მოიხდომა ხელმწიფის შვილმა. კუნძულზე მე ხორციელი არავინ დაუხვდა და საღილის საჭმელათ ისევ „ნატერის სუფრის“ გამლა მოუხდა. ამ დროს ვიდაც კაცი მუახლოვდა და კაკვირვებით შეხედა ხელმწიფის შვილს. თქვენ აგრე უსამსდგროთ ძღებით და მე კი, უცაბედათ გადმოურდნილმა ამ ხრიავ კუნძულზე, უნდა სიმშილით მოვკვდე.—მეწვიეთ, გაგიმახსინმლდებით, უთხრა ხელმწიფის შვილმა და უბმბო ამ ნატერის სუფრის ამბავი.

— მეცა მაქვს ისეთი ჯადოსანი ჯოხი, რომ თუ ჯოხს თავს მოვუტრიალებ და ვიტუგი: ასი, ან ათასი, ან ათი ათასი ქვეითი ან ცხენოსანი მეომარნი ახლავე გაჩნდითო, — მაძინვე გაჩნდებიან და სწობიყლებო ასრულებუნ ჩემ ბრძანებას. და თუ ისევ ისე გადავატრიალებ ჯოხის თავს — მაძინვე ჯარი ისევ გაჭრე-

ჯადოსანი ნიგოზი

ბა! მაგრამ რაში მინდა ეს მეომარი, როდესაც მე
მშერი ვარ. „ხატვრის სუფრა“ კი ჩემთვის ძვირ-
ფასი იქნება, ამაში ჩემ ჯოხს დიდი სიამოვნებით
გაჟღვალი.— მაში გავჟღალოთ, თქვა ხელმწიფის ძვირა-
მა, და ასეც მოახდინეს.

ცოტა სანს შემდეგ ხელმწიფის ძვილმა მოუტრია-
ლა ჯოხს თავი და დაიებირა:



— მესაჭიროება ასი მეომარი ცხენოსანი. სწრა-
ფად გამოესახენ ასი ცხენოსანი.— „გასწით და მომი-



ტანეთ ჩემი „ნატერის სუფრა“. ქარივთ გაჭიროლებ
მეომრებმა და სწორად უკანვე მოუტანეს „ნატერის
სუფრა“ ხელმწიფის შვილმა გამაღდა ეს სუფრა და
მეომრებს გაუმასპინძლდა. მერე ისევ გადაატრიალდ
ჯოხის თავი და მეომარნი გაჭირენ.

შემდეგ მისი სომაღდი მესამე კუნძულს მიადგა.
ხელმწიფის შვილმა დაუწეო ახლა ამის შედება-
რეობას ოკალიერება და წიაწედა ერთ მაღიას მო-
ხუცებულ დედაკაცს, ორმედ საც ზედ ეხურა ჭრ-
ლი ფალახსების წამოსასხვაში. მოხუცებული მაღწე
მოუძლურებული იქო და სულ ოხვრით ამბობდა: „მძი-
ერ-მწეურვალი გავდები, ორი დღეს პირში ნაწილი
არ ჩამსვლია, ჟურის ნატერი სომ არ მოგეპოებათ.
„დიდ სიამოვნებით გაჭირებ ჟურს, დედილო, უთხრა
ხელმწიფის მვილმა.—ნეტავი ერთი ფინჯანი უავა მი-
შოკოთ, სიმმილით მაძაგმავების. მაძინ ხელმწიფის
შვილმა მიმართა თავის ძვირფას სუფრას და თქა:

ნატერის სუფრავ გაიმაღე,

აჭამე და ასვი ბლომბათ.

გაჩნდა ოქანაზით უავა და ებულა სიკეთე. მო-
ხუცებულმა ვაიღიმა, სახე გაუბრიშებინდა, ბევრი ჭამა-
სვა და გამსიარელდა, მერე სისარულით წამოსასხვა-
მაღდა ასროლდა. ერთ წამს წამოსასხვაში დაიშალა
და ნაკუშები გაიფანტა მოულ კუნძულზე, სადაც და-
მცა უითელი ნაკუში, იმ ადგილას გაჩნდა მძგენიერი
სასახლე, სადაც მწანე — თვალ მომტაცი წალეოტი

იუ და სადაც ლურჯი — იქ გაჩნდა ტბა. ერთბაშათ
მოელი კუნძული სამოონეო გარდიქა.

ამ სასწაულმა გააკირგა სელმწიფის შვილი და
მან უთხრა მოხუცებულს: თქვენი წამოსასხამი განმი
ყოფილა, რას არ მივცემდი ჩემი რომ იუოს. — მარ-
თლია ლამზი რაბ არის, მაგრამ მე თვალში არ
მოძის არც მშვენიერი სასახლეები, არც თვალ-წამ-
ტაცი წალკოტი, არც ფირუზის ფერი ტბა, როდესაც
ჟუელი ცარიელი მაჭვე, თქვენი „ნატგრის სუფრა“
ათას წილათ მირჩევნია“.

— მაშ გავცემლოთ, უთხრა სელმწიფის შვილმა.

მოხუცებულს მაღიან გაეხარდა და ტაბი გაჰქონა.
მაშინვე სასახლეები, წალკოტები და ტბები გადაიქ-
ცნ ნაკუწებათ და ისევ წამოსასხამი შეიქმნა. მოხუ-
ცებულმა დიდი სიამოქნებით მისცა კს წამოსასხამი
სელმწიფის შვილს, ნაცვლათ ნატგრის სუფრა მიიღო.
მაგრამ მოხუცებულმა გაიარა თუ არა რამდენიმე ნა-
ბიჯი სელმწიფის შვილმა მოატრიალა ჯოხის თავი,
გამოიწია მეომრები, გამოუეცნა მოხუცებულს და
წართმევნა „ნატგრის სუფრა“.

სელმწიფის შვილი პალავ გაუდგა გზას, კიდევ
მიადგია ასალ კუნძულს და დაიწეო იქ სეირნობა. კუ-
რაფერი კერ იპოვა კუნძულზე და დაღბლულ-დაქან-
ცელი მიწვა.

უცბით მშვენიერმა მუსიკის სიმამკანეებისა სელმწი-
ფის შვილი. მან ასევდა მაღლა და ნასა ზემოთ კლდე-



ზე ჭილაც უკრავდა. სელმწიფის შვილმა ქება მეასხა.
ამასე დამკვრელმა უთხრა: მე ვითვლები მემუსიკოს
შორის მეფეთ. შეგახებ თუ არა სელს სიმებს უვლა



მსმენელნი აღტაცებულნი და პოხიბლულნი გრძნობას
ჰქარგავებ. ჩემი საკრავი ჯადოსანია, რაგინდ რას არ
დაუკრავს — გინდ მხიარულს, გინდ ნაღვლიანს სმებს.
სელმწიფის შვილმა მოიხდომა ამ ჯადოსანი სა-
კრავის სელმი ჩაგდება და როდესაც დამკვრელს
გადუშალა თავისი „ნატერის სუფრა“, იმან მაშინვე
სელმწიფის შვილს გაუცვალა საკრავი „ნატერის“



სუფრაში“, მაგრამ ხელმწიფის შვილმა მალე დაიბრუნა ისევ უპან სუფრა კადოსანი კოსის წეალობით.

ახლა კი ხელმწიფის შვილმა განიმრასა სახლში დაბრუნება. მშვიდობიანათ მიაუენა ხომალდი თავის სახელმწიფოს სასახლესთან.

ეს მოხდა დამე და ამიტომ ეს დამე ამას უნდოდა გაეტარებინა სასახლის გვერდით ერთ დიდ ბაზმი. მეორე დილით ხელმწიფეს უნდა ეხადირნა და ამიტომ მექებრები აემვათ. მექებრებმა იგრძნეს უცხო ვინმეაო ბაღუში და მორთეს საშინელი უფა, სანამ არ წააწევენ მინარე ხელმწიფის შვილს. მაგრამ ოოცა იცნეს თავიანთ ძევის შვილი, დაუწეუს ლაქუცი და კუდის ქვა — სისარულით ფეხქვეშ ეგებოდენ. ხელმწიფე მაღლების უფაზე მიუახლოვდა ხეს და იქ თავისი უმცროსი შვილი ნახა. ხელმწიფეს თითქოს არც კი გაესარდა შვილის ნახა, პირიქით უქმავოვილოთ უთხრა: მენც მოხვედი, მხდლების ნათრებს გევხარ. მართლია იმედი არა მქონდა, რომ სასწაულს რამეს მოუქმდ, მაგრამ მეგონა, რომ თუ შენბა უფროსმა მამ უერცხლით საგსე ქვეყანა აღმოაჩინა და მეორემ — ოქროსი — შენ მვირფასს ქვებს მაინც მიაგნებდით ამითი მეც ნასიამოვნი დავრჩებოდი და ქვეყანასაც სარგებლობას მოუტანდი. მე მეზობლებთან დიდი ომი მაქვს და დავკარგე ჩემი სამფლობელოსი ბევრი მიწები და ციხეურარბაზები. შენი მმების მოტანილი აუა-



ოქტომბრი და ვერცხლი ჯარის შენახვას მოუნდა და
მაინც დაბარცხებული დაკრჩი. ვძიშობ, მტერი არ შე-
მოქმედის სახელმწიფოში და ტახტიდან არ ჩამომაგ-
დონ.

სელმწიფე რომ ამას ამბობდა, შიკრაკებმა ამბავი
მოუგანეს, რომ მტერი დიდი მაღლი ჯარით აპირებს
სამივე მხრით მათზე დაცემას, მაგრა სელმწიფემ და
მისმა ორმა უფროსმა შვილმა გადასწყვიტეს გაქცეუ-
ლიუვებ და თავის-თავისთვის ეჭვულათ. უმცოლსი შვი-
ლი თავს იკლავდა, ნუ დაუთმობთ ნურავერსაო. მოუ-
ტორიალა თავი თავის ჯაღისან ჯოხს და უბრძანა.
გაჩნდით ასი ათასო ცხენოსასი და ქვეითო მხედარ-
ნო! გაეძრეთ მტერია.

უცხათ მთელ სახელმწიფოში გაჩნდა აუარება ჯა-
რი და ერთი საბთის განმავლობაში გაჩდევნა და გა-
წევითა მტერი და თვით მეზობლის სამოლობელოც
ი დაიძერა. მერე სელმწიფის შვილმა აიღო ნატვრის
სუფრა და თქმა.

ნატვრის სუფრავ გაიშალე,
აწემე და ასვი ეკელას.

და ერთ წამს ათას ადგილას გაიმართა ნადიმი.

— ამისითანა გამარჯვება უნდა კიდდესასწაულოთ,
თქვენ სელმწიფის შვილმა,— მე თვითონ დაგუგრავ მუ-
სიკან.

ჯერ ერთ სიმს ჩამოჰკრა, შემოესმათ ისეთი ნა-
დელიანი სის, თითქმის ეკელას ქს არი ახლა გული



წაუკიდოდათ. მერე მეორე სიმს ჩამოჰქორა, გამსიარულდა უკელა და სმენით აღტაცებულნი ვაშა, ვაშა დაიკირეს. მეფე, მისი შვილები და უკელა ქვეშვრდობი გაოცებულნი დარჩენ.

მერე სელმწიფის შვილმა დამშვიდებით წარმოსისა: — უნდა აღვადგინოთ ომისაგან ვანადგურებული ჩვენი სახელმწიფო და ოაც მტერმა გაგვიფუძნო — ისევ გავაკეთოთ.

ემ სიზუგებით სელმწიფის შვილმა აისროლა მაღლა ჯადოსანი წამოსასხამი და მთელი იმათი სამუშლობულო მოიფინა ახალი სასახლეებით, კომპ-დარბაზებით, წალკოტებით და ტბებით.

მეფის შვილმა ამნაირათ გაბატენიერა თავისი ქმედანა: მისცა სიმდიდრე, მალა, მოუხვეჭა სახელი. მან არ დაივიწეა ის ემაწვილი ქალაც, ოოძელიც ისეთი კეთილი იუო და ოოძლის წეალობითაც ამისთანა სასწაულები მოახდინა და მაშინვე გაემგზავრა იმ ხრიაკ კუნძულზე მის მოსაუფანათ, აასრულა მიცემული სიტეჭა და ცალათ შეირთო. აგრეთვე სელმწიფის შვილმა მონახა უკელა ის პირები, კინც მისცა ამას ჯადოსანი ნივთები და გადუხადა მათ სიკეთე ერთი ათად-

(თარგმანი)

ან. წერეთლისა.



საქართველოს
კულტურის
მინისტრის
განცხული
გიგანტისა

ბეგაზეთე ვასო

(რუსულით)

V



ვ

ეორე დღეს ბიძა-დისწული
რომ გარეთ გამოვიდებ, ია-
კობმა ამოიდო ქისიდან
ერთი შაური, ვასოს მისცა
და უთხრა:

— წაიდე ეს ჭული და,
რომ მოგმივდეს, მეტურეს-
თან შედი და ამის პური-
იუდე შენთვის. ბიცოლას-
თან კი არა წამოგცდესრა.

— არა, ბიძია! არ მინდა... მე მოვითმენ და სა-
ხლეი გვაძმ სადილს, — უთხრა ვასომ, რომელსაც თვა-
ლები ცრემლებით აეგსო გუშინდელი დღე რომ
გაახსენდა.

— ნუ გეშინია! მე უოველთვის კიძველი წოლმე...
ბიძის სიტყვებით გამხნ ევებული ბავშვი სისარუ-
ლით გაიქცა გაზეთების გასაუდით. კონკას რომ
მიუახლოვდა, ემაწვილი გააჩერა კიდაც მდიდრულად



ხაცმულმა კაცმა, გამოართვა ერთი გაზეთი, უცხბ
ამოიღო ფული, ჩაუდევა ვასოს ხელში და შეხტა კონ-
კაზე, ოომელმაც იმათ ახლოს გაირბინა. ვასომ ფუ-
ლი ჭიბეში ჩაიღო და ძირს რომ დაიხედა მის ფე-
ხებთან თოვლზე რაღაც ქადალდი მგრო. ვასომ ქა-
დალდი ხელში აიღო, გადააბრუნა, გადმოააბრუნა და
ქადალდის ფული გამოდგა. ბევრი ადარ უფიქრია ვა-
სოს ვისი უნდა იეოს ეს ფულიო; მაგრათ ჩამოიცვა
თავზე ქუდი და რაც შეემლო გაექანა სირბილით კონ-
კისა კენ; იან ხმა-მადლობ გაჰკიოდა:

— დაიცდეთ! გაჩერდით, გაჩერდით!

კონკამ სიარულს მოუკლო; გამულელი სალხი
გაჩერდა და გაპირვებული მისჩერებოდა ვასოს, რო-
მელიც გარბოდა რაც მაღი და ღონე ჰქონდა.

როგორც იუო დაეწია ვასო კონკას; შეხტა სწრა-
ფად ჭედ და გაზეთის მედვეულ კაცის წინ გაჩერდა,
რომელიც კონდუკტორთან იდგა.

— ეს იქ თოვლზე... — ძლიავს წარმოსთქვა დადა-
ლულმა ვასომ და გაუწოდა ქადალდის ფული.

ამ გაცმა უცხბ ჭიბეში ჩაიერ ხელი და შიგ რომ
არაფერი არ იუო სიცილით გამოართვა ვასოს ფუ-
ლი. მადლობა გადაუხადა პატარა მეგაზეთეს და ორი
მაური აჩექს.

ვასო სიხარულით გაემურა სახლისაკენ. აჩერე-
ბით უამბო ბიძას რაც შეემთხვა და ორი შაურიც
უჩექს.

— როგორი ქადალდი იქთ? ჭყითხა გაბგირვე—
ბულმა ბიცოლაძ.

— არ ვიცი როგორი იქთ... მე მისთანები ჩემს
დღეში არ მინახავს და ვერც წაკითხვა მოვახწარი.

ავდოტია უცებ აზგა ზეზე, საიდგანდაც ათ მანა
თიანი ქადალდის ფული მოიტანა და ვასოს უჩვენა.

— არა, ასეთი არ იქთ, თავ გაქნებით უთხრა ვა-
სომ—ის სხვადასხვა ფერი იქთ...

— ას მანათიანი უოფილა! წამოიძახა გაბგირვე—
ბულმა ავდოტიამ.—სულელო, სულელო! ტეტია! შენ
ჭამის მეტი არა იცირა.

ვასოს ჰირი დაეღო და ისე შესცემოდა ბიცო-
ლას, რადგან ვერ გაეგო, რისთვის უკავრდებოდა.

ბიძა კი ვასოს ამართლებდა:

— მალიას კარგად მოქცეულა, ასე უნდათ. მა-
გრამ ავდოტიამ იმასაც შეუტია.

— ღრივე სულელები ხართ! იქნება ის ფული სხვას
დაეკარგა და არა იმ კაცს, ვისაც მაგან მიუწანა?

— ის ფული უსათუოდ იმ კაცისა უნდა უოფი-
ლიეო. სანძმ ის მოვიდოდა მე იმ ადგილას ვიდეს
და ჩემ წინ არავერი არ უოფილა; არა არავის გაუ-
კლია იმ კაცს გარდა.

— მერე, შე სულელო! ის მაინც არ იცოდი, რომ
ვინც იპოვნის რამეს მას მესამედი ან მეოთხედი ერ-
გება?! შენ კი რაღაც არი მაური გადმოვიგდო, ასი
მანათის ჰოვნაძი.

ბიძა-დისწული გარეთ გამოგიდენ, რომ თავი მოუ-
შორებით ავდოტიას უკირილისათვის.

— არა, ბიძა, ჩვენში ეპო არ იციან! დაუწეო
ლაპარაკი ბიძას ვასომ.— ერთხელ ჩვენსას ვაჭრები
იუვნ... არა ჩვენსას კი არა, ჩვენ მეზობლისას...
ერთ დამეს იუვნ და მეორე დილას წავიდენ... მე-
ზობელი რომ შევიდა სახლში, საწოლზე საათი იდო...
მაშინვე შეჯდა ცხენზე, დაეწია ვაჭრებს და იმათ სა-
ათი დაუბრუნა. ერთხელ კიდევ მეწისქვილე დამთვრა-
ლიუო და ფული დაჭკარვოდა; როცა გამოვსიტლდა
თავისი ფული ისევ დაუბრუნა ვინც იპოვა. წევნში
სხვისას ართვერს არ მიითვისებენ; მაშინვე პატრონს
დაუბრუნებენ ხოლმე...

ბიძა ჩუმათ შესწეროდა ვასოს გაწითლებულ პი-
რისახეს და უთხრა, როცა ვასომ ლაპარაკი გაათავა:

— კი, მამიავ, უოველოთვის ისე მოიქმეც, რო გორც
თქვენ ხოველში იციან. მენ ბიცოლას უურს ნუ უგ-
დებ. მენ მე დამიჯერე. მართალია ის კეთილი ქა-
ლია, მაგრამ...

იაკობმა აღარ დაათავა სიტევა და ხოლო ხელი
გაიქნია. ბიძა-დისწული დიდხანს დარჩენ ეზოში და
სულ სოფელზე ლაპარაკობდენ.

ნიგოები ექმოგებოდა: დაიკარგებოდა პირსახითაც — და-
 დი ძებნის შემდეგ იპოვნიდა. მაგრამ მეორე ან მესა-
 მე დღეს კიდევ დაიკარგებოდა რამე. ავდოტია დარ-
 წმუნებულია იქთ, რომ უოველისფერს ვასო იპარავსო
 და გადასწევიტა: მე ვასწავლი იმას. როგორც უნდა
 ქურდობათ. იმ დღეს ავდოტიას კერცხლის კოვზი
 დაჭვარებოდა. ამ ერთი გერცხლის კოვზის მეტი მას
 არ გაიხსნდა რა და თვალის სინათლესავით უფრთხილე-
 ბოდა; ბეჭრჯერ დაიკუნებდა ხოლმე სტუმრებოან ასე-
 თა და ასეთი კოვზი მაქვსო.

ვასომ შემოადო თუ არა კარები, ავდოტიამ კა-
 რებიშვილ მიაძახა.

— მენ დღეს აქ კერცხლის კოვზი არ გინახავს?
 — არ მინახავს. მიუგო ვასომ.

— მაშ კარგი! სოქვა გაჯავრებულმა ბიცოლამ.

საღლის შემდეგ ავდოტიამ იაკობი მეწადესთან
 გაგზავნა, რომ უფრო თავისუფლათ შესდგომოდა ვა-
 სოს გასამართლებას.

იაკობი რომ გარეთ გამოვიდა ავდოტიამ მრის-
 ხანეთ ჰქითხს ვასოს:

ეხლდვე სოქვა, სად წაიღე კერცხლის კოვზი?
 ვასომ თამამად მიუგო:

— მე არსად არ წამიღია; არ მინახავს და არ
 ვიცი კოვზის შესახებ არაფერი.

ვეღარ მოითმისა ბიცოლამ; გაჯავრებული ვა-
 სოს გენერალი. ვასო შიშმა აიტანა, კარებისკენ მა-




ბოქნდა და უნდოდა გარეთ გაქცეულიყო, მაგრამ აუღოტიძმ სწორაფათ დაიჭირა და მძლავრათ ჩასჭიდა ხელები.

— აი, შე ქურდო! მოიპარე და ეხლა გინდა გაუქცევა კერძად წამიხვალ, მე შენ გაგისწორდები. უკიროდა ბავშვს.

გასო ტიროდა; ეფიცებოდა არაფერში დანაშაული არა ვარ, მე ითვიცი არ მომიპარავსო, მაგრამ აუღოტია უფრო ჯავრობდა და იმდენი სცემა ვასოს, სანამ გული არ იჯერდა.

სირცეშვილისა და ცემისაგან გაწითლებული ვასო თავის საწოლტე პირქვე დამსხო და დიდხანს ტიროდა ათასგვარმა ფიქრები გაუბინა ვასოს თავში. ფიქრობდა წაგალ ეხლება და კონკას ქვემ ჩაგრძები, რომ გამსრისოს, როგორც გუმინ გასრისა ერთი კაცი; სულ ერთია მე აქ ცხოვრება აღარ მინდაო... ან წაგალ, წევალში გადავარდები, ეს უკუთესი იქნებაო... დადხანს ტიროდა ვასო, სანამ ბოლოს ძილმა არ დაიხსნა ის ამ ფიქრებიდან. ვასო მსოფლით ბიძა იაკობის უკირილმა გამოაღვიძა. იაკობი სადღაც დამფურალიყო და ეს იუო მიზეზი, რომ ასე გაბედულათ ეომებოდა ცოლს. იაკობი რომ სახლში შემოსულია ერ ეკითხა ვასო სად არასო და, რომ გაეტო სბონავსო მისულიყო და თავზე დადგომოდა. ბავშვი ძილმაც ტიროდა და რაღაც გაუგებარ სიტუაცის აშბობდა, თითქოს ევედრება ვისმეო. იაკობმა ერთი ამბავი



დაუწია ცოლს, შენ უსათუოდ სცემდი ბაგძესათ. აფროტია ველარ იძართლებდა თავს, რადგანაც კოვჭი გასოს ცემის შემდეგ მაძინებე ეპოვნა.

— მოგკლავ! უევიროდა იაკობი ცოლს. ცოლი ტირილით იძართლებდა თავს, ამბობდა ხელიც არ მახლია მისთვისათ.

— მოგკლავ!.. თითო არ მიაკარო გასოს, უვროდა იაკობი.

გასომ იყიქრა: ბიძა მართლა მოკლავს ცოლს ჩემი გულისათვის და მერე ციმბირში გაგზავნიანო. ძალიან შემცოდა ბიძა, და გადასწუვიტა: სჯობია რომ არავერდ ვთქმათ. იაკობი ბარიბაცით მივიდა გასოს. თან და ჰქითხა, ხომ გცემა ბიცოლამათ.

გასომ თავისი ტირილი გაციებას დაბირნდა: ბიცოლს ხელიც არ უხლია ჩემთვისათ.

ამ ამბავმა იაკობი ცუტათ დაამშვიდა; მიუჯდა გასოს საწოლთან და დაუწეო ლაპარაკი.

— შენ იძას ძრავური დაუჯერო... იმის თვალს ში ეპელა ქურდები და ლოთები არიან... თითქს მარტო ის იუს ქარგი ქაღი... შენ ნუ გაცივდები ხოლმე და ჩვენ სიოველში წავიდეთ, ორივენი...

— წავიდეთ, წავიდეთ, ბიძიკო!.. სიხარულით წამოიძახა გასო.

გასოს ძალიან გაუკვირდა, აქამდის რათ არ გამახსენდა სიოველში წახვლა. ეს ხომ უკეთესი იქნებო. მოეხვია ბიძას ელჩე და სიხარულით იმეორებდა:



— წავიდეთ სოფელში, ბიძა, წავიდეთ!.. ბიჭო
რას კი ნუ მოჰქმდავ, — ცოდვაა ..

— წავიდეთ, წავიდეთ! წილაპარაკა იაკობმა და
დაქანცულს, ნასვამს, იქვე ჩატინა

VII

მეორე დღეს ვასო მლივს წამოდგა საწოლიდან
იქ სტიორდა თავი, მაგრამ მაინც პირველი მისი
ფქრი იყო: მალე წაგალთ თუ არა სოფელშიო? გა-
რეთ რომ გამოვიდენ ბიძა-დისტული, ვასომ კიდევ
ჰქონდა ბიძას, ხომ მალე წაგალთ სოფელში. აა-
კოს თითქმის დავიწერებოდა, რაც მოხდა წინა დაბეს-
და რომ თავიდან მოემორებია ვასო უთხრა: მალე წა-
ჟღოთ.

გადიოდა დღეები და სოფელში წასკლაშე არაგინ
არაურს ამბობდა. ვასო მეტად დააღონა იმედის გა-
ცრუებამ. საჭმელს სულ აღარ სჭამდა და გრძნობდა,
რომ მალე გაზეთების გაუიდგასაც ჰერარ შესძლებდა
ავღოტია უიქრობდა ბავშვის დაღონების მიზეზი მე-
გარო და ეხდა გარგათ გვერობოდა; თან სჭირდთ ეუ-
ბნებოდა:

— მე შენთვის სიკეთე მსურს, შე სულელო!..

მაგრამ ვასოს არ დავიწერებოდა მისი შეუბრალუ-
ბელი ცემა და არაფრის გულისათვის არ ჩერდებო-
და მარტო ავდოტიასთან, თუ იაკობიც იქ არ იყო.
როცა ვასო ბიძის მოსკლამდის დაბრუნდებოდა სა-
ხლი, შიშით ცახცახს დაწერებინებდა, გამოვარდებოდა



გარეთ და სანამ ბიძა არ მოვიდოდა სახლში კულტურული გადოდა.

იაკობი კარგათ ხედავდა, რომ ვასო ამ ცოტა სანში საგრძნობლათ გამოიცეალა; სმირნათ ეკითხებოდა მას, ხომ არაფერი გრკივა, მაგრამ ვასო ერ გელოვის უპასუხებდა — არამერი არ მტკიბაო. იაკობი მაინც ძალიან ხწუხდა და ცოლს ურჩებდა, უპითესი იქნება ბავშვი სოფელში გავიზავნოთ, თორებ ავა გახდებაო.

ავდოტია დიდ უარზე იღგა და გაჯავრებით ამ- ბობდა:

— ჩაგაცვით, დავახურეთ, საქმის გაკეთება ჭა- წავლეთ და ქსლა სოფელში გავიჩვნოთ?

რაც დოო გადიოდა ვასო უფრო სუსტდა და თან- დათან სუსტდებოდა. ბიძამ რომ ვასოს ერთხელ თვალებში ჩახედა ცირილი მოუვიდა: უწინდელ სოფლელი ვასოს ლანდიც აფარ იყო. თვალები ჩაწვიენოდა და ტუშ- ბი სანოელივით გაუჭითლებოდა.

— დეკორო ჩემო! ეს რა დაგმართნია! მექ ავათ ხარ, ქხლავე ექიმთან უნდა წიგიუვნო, — ამბობდა შე- შინებული იაკობი.

ვასო არწმუნებდა ბიძას, რომ მას არაფერი არ სტკივა, არც ავათ არის, თდონდ... სოფელში როდის წავიდეთო? იაკობი ამჩნევდა, რომ ვასოს ბი- ცოლასი კმინოდა და ურჩია, აქ მიგაბარებ მეწარეს, ან დურგათლს და მათი ხელობა ისწავლეო.



ვასომ ტრილი დაიწეო.

-- თუ შენ არ გინდა, ბიძია, სოფელში წამო-
სდნა, მე წაგალ მარტო. ეპედრებოდა ვასო ბიძას.

— მერქ გზის ქირას სად იმოვნი! შენ სოფლამ-
დის ორი მანათი დაგჭირდება ქირბთ. — უთხრა ბი-
ძამ.

ვასო მაღაიან დაგონდა, სად უნდა ემოვნა თორ-
მანათი?

VIII

ვასო ცოტა დამშვიდდა, ვამხიარედდა. ბიძამ ნება
მისცა სოფელში წასვლისა, მხრალოდ ეხლდ მარტო
იმზე ფიქრობდა, როგორ ვიმოვნო თორი მანათით.
ბიძამ გადასწევიტა, ვასო უსათუოთ უნდა გაგაგზაგ-
ნო სოფელში, თორებ ავათ გახდებათ. მეორე დღეს
იაკობა უთხრა ვასოს:

— მე ჩამოვატარებ სოლმე ეოველ დღე გაზეთებს-
და შენ ჰყიდე გაზეთები ქუჩებმი. რასაც აიღებ სულ-
შენთვის შეინახე. ორი მანათი რომ შეგისრულდება,
მაშინ კი სოფელში წახვალ შენ დედასთან.

ვასო სისარულით ფეხზე ადარ იდგა. მხიარუ-
ლათ დარბოდა ქუჩებმი და ჰყიდდა გაზეთებს. საღა-
მობით სახლში ჩუმათ დაითვლიდა ხოლმე უულს-
და ანგარიშობდა, კიდევ რამდენი უნდა ვიმოვნოთ
ერთი თვის განმავლობაში კიდეც შეასრულა თორი მა-
ნათი და სისარულით გამოუცხად იაკობს გზის სა-
ფარი მაქს და მალე უნდა წავიდეო. იაკობი იმ



დღესგი შეუდგა მზადებას. ვასოს ტანთსაცმელი ს
ხსნა წივთები რაც იუო გამოიტანა სახლიდან და ჩუ
მათ შეძებმი დამალა.

მეორე დღეს ადგნენ თუ არა ორივე სადგურისა.
კენ გაემურენ. სადგურზე რომ მივიდენ, აუარებელი
ხალხი დაუხვდათ ჭავჭულის ცხელი დაუეტი დამდგა.
რიუო და უველანი სოფლებისკენ მიემურებოდენ. აა.
კობი და ვასო იქით-აქეთ ისჭირებოდენ, ავდოტია
არსად იუოსო. ბოლოს პირველი ჭარიც ჩამოკრეს და
ხალხი მატარებლისაკენ გაემურა.

— აბა, მძვიდობით! მოკითხვა უველას; უთხრ
იაკობმა და გადაკოცნა ვასო.—აქამდის თავს იკლაუ
დი წასვლისთვის და ეხლა ტირი?

თვალცრებლიანმა ვასომ უთხრა ბიძას: — მე ქე
მეცოდები, ბიცოლა ჩემი გულისათვის ცუდ დღე
დაგაუენებით.

— ნუ გემინია! ვერ ჰემჭამს. დაამშვიდა იაკობმა.
მესამეთ ჩამოჭკრეს ჭარი. ვასომ ფანჯრიდან გად
მოჰყო თავი და დაუევირა ბიძას:

— თუ მოგიეკება ის ლანძღვას — უთხარი: რათ
მცემა მე იმან ისე მალიან, მე ზომ მაძინ მცემა...
გახსოვს, შენ რომ დაემუქრე მოკვლას.

მატარებელი დაიძრა, გახარებული ვასო უქნევდ
ბიძას ქუდს, სანამ კვამლმა არ დაფარა მიმავალი მა.
ტარებელი.


ტ. ვეფხვაძე.

(დასასრული)

ჭკვიანი ღორი*

 ოთხ მსუნავი ღორი შექვრა ბაღში. იქ სამ-
ფეხაზედ იდგა გამლით საჟიე კალათი ღორს
გამლის დანახვზედ ჰირში ხერწვევი მოადგა.
მან სცადა დრუნჩით აღება გამლისა, ძედგა უპანა ფე-
ხებზედ, კერ ძესწვდა. კალათი მაღლა იყო. მაძინ
სხვა სერხი გამოიგონა. გამოუთხსრა მირი სამფეხას,
წააქცია, გადმოუარო კალათიდან გამლუბი და მადია-
ნას, მიაძლა.

ბათუმის ქართული სკოლის მოსამზადებელ კლასის მო-
წაფე ქეთო მგელაძე.



ამას რა ჰქვიან?

*) ეს პატია ამბავი იბეჭდება ასახსნელათ იშ სურათისა, რომელიც
მოთავსებული იყო ჭინანდელ ჯეჯილს მეოთხე ნომერში და როგორც
დაწერილი საუკეთესოთ სხვა წარმოდგენილ ამბებთა შორის. მასვე ეგ-
ზავნება, დაპირებისამებრ, საჩუქრათ „ტახტის მემჭვიდრე და მათხოვარი“.



„პიგუნ-დეიზინ“

აშჩავი იაპონელი ბაგშვისა, რომელმაც მოინდომა შირველი ვაჭრის
გამხდარიელ იაპონიაში.

დასასრული.

მოთხრობა ჯენზეი მურაისა.

X. დაქმაყოფილებული ბატიფ-მოვეგარეობა.—წარჩინებული
გაჭარი.



ინოკუნ ბუნზეიმონმა სრულებით არაფერი იცოდა
იმ საშინალი ცეცხლის შესახებ და აქეთ იქით მი-
დი-მოდიოდა; უკანასკნელათ მთიულეთშიაც წავი-
და; აქ, საგამის პროვინციაში, იმავე დღეს იქაუ
ტყეების პატრონებს დაუწყო ვაჭრობა, სწრაფ მისცა ბე და
შეეკრა პირობის ქალალდით. მეორე დღეს გადვიდა ავს პრო-
ვინციაში, შემოუარა კაზუზაშის, შიმო-ოზას და მურაშის
ტყეების პატრონებს და ამათაც შეეკრა პირობის წერილო
და იყიდა მრავალი ხე-ტყე, დამზადებული ფიცრები, რაც კი
იმათა ჰქონდათ. ხუთ დღემდის დაპყო აქ და აი სწორეთ ის
დროს მის ყურამდის მიახწია იედოში მომხდარმა ამბებმა და
იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. გზაზე ნასახლარე-
ბიდან დაწყებული თავის საწყობამდის ყველა ამის შესახებ
ლაპარაკობდა, ესეც უგდებდა ყურს და ყველაფერი უკვერდა.
— ხომა გჯერა, ჯენბეი-სენ, რომ კინოკუნია ბუნზეი-
მონი ჩინებული კაცია. ღმერთმანი — თითქო გულთმისანია,



წინათვე შეიტყო რაც უბედურება დაგვატყდებოდა თავს და ამოცენა ბენტო დაამზადებინა; თუ არ ესე; საიდან შეიძლებოდა ამოდენა საუზმის მომზადება! მეცა და ძალიან ბევრმა სხვებმაც ვერსად ვერ ვიშვინეთ საჭმელი და სამი დღე ამ ბენტოს მოწყვალებაზედ ვიყავით.

— ღიახაც, მართალია ბრძანებო, ხაშიბეი-სენ. მეც ყოველ დღე იმითი ვიკვებებოდი და რა მე, რა სხვა: რომელ კუთხეშიაც გინდოდა მიმღვარიყავი, იქ უეპელით, ეს საუზმე დაგხვედებოდა. ასე ამბობენ, რომ ამ სამ დღეში ორ ათასზედ მეტი კოკო ბრინჯი დაიხარჯაო და აბა წარმოიდგინეთ, რა ეშველებოდა ხალხს, რომ ეს მოწყვალება არა ყოფილოყო. უნდა მოგახსენო, ხაშიბეი-სენ, რომ ამ ბენტოთი ბევრი დიდ-კუობაც გამოიკვება!..

— ეგრეც იქნებოდა. დიდკაცებსაც კარგი დღე არ და-ადგათ—ოქროები და უფლებები კაცს კუჭს ვერ გაუძლებენ. „დალოცა ღმერთმა—ეს კიბუნი ძან მარჯვე და გამჭრიახი კაცი ყოფილა“! ყველანი ასე გაიძახოდნენ, ვისაც კი რაიმე მოწყვალება მიეღოთ.

როდესაც, ბუნზეიმონი გულ-მოდგინეთა და გაყვირვებით ისმენდა ამ სიტყვებს და თან გულში ჩობეის აქებდა ამის-თანა თავდარიგისთვის, მის ახლო გაიარა ორმა დედა-კაცმა.

— რო იკოდე, ხარუ-სენ, რა მომივიდა: მე უბედურმა ამ აზვირთებულ ხალხში ბავშვი დავკარგე, ჩემი მწუხარება ქვასაც დასწვამდა, ცრემლი ნაკადულივით ჩამომდიოდა, რადგანაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ამოდენა ხალხში იგი გაკულებილი იქნებოდა და მას ცოცხალს ვეღარა ვნახავდი. ამ ღროს შემომესმა, რომ რამდენიმე ათასი დაკარგული ბავშვი კიბუნის საწყობში წაუყვარიათო; ვულს იმედი მიეცა, გავექნე იქითკენ და აუარებელ ბავშვებში ჩემი გოგოცუნა დავინახე. ღმერთო, რა ბედნიერი ვიყავი იმ წუთს!.. ვინც რა უნდა თქვას და მე კი ვიტყვი, რომ კიბუნი შესანიშნავი კაცი ყოფილა! განა ამისთანა ამბების ღროს მოაგონდებოდა ვისმე, რომ ბავშვებისთვის ეზრუნა? კიბუნს კი ყველაფერი მოუსაზ-
3

რებია და თავისი კაცები უგზავნია აქტ-იქით ბავშვების და-სახსნელად! ამბობენ, რომ რამდენიმე ათას სულს უპოვნია აქ თავ-შესაფარით. ამის შემდეგ განა შეიძლება მისი სახელი და ივიწყოს ვინმებ?

— სწორეთ ვითხრა, მეც თავის დღეში არ დამავიწყდება იგი. რასა ბრძანებთ — ჩემი მდგომარეობა უფრო უარესი იყო... დედა რომ დავკარგე მაშინ მე ისეთს სასოწარკვეთო-ლებაში ჩავარდი, რომ ენა ვერ გამოსთხვიამს. კარგათ რომ მყოლოდა, მაშინ ისე სადარდებელათ არ გამიხდებოდა მისი დაკარგვა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ შარშან ზამთრიდან და-წყობილი იგი დაუძლურებული სიბერისგან ლოგინში იწვა და ვარეთ ნიავი არ ენახა. ცეცხლი რომ გაჩნდა ჩევენ გვე-გონა ჩვენამდის არ მოახწევდა, რადგანაც ქარს ცეცხლი ტა-კანავარასკენ მიჰქონდა; უეცრივ ქარმა ჩევენკენ მოიღო პირი, გადმოცვივდა ნაჯერწელები და თვალის დაზამხამებაში მოედო ჩევენ სადგურს. სახლში მარტო მე და დედაჩემი ვიყავით. რომ იგი ბოლით არ დამხეჩალიყო, დავტაცე ხელი და გამა-ვიყვანე გარეთ.

— გავირბინე რამდენიმე ჩო *) და შევნიშნე, რომ დე-და-ჩემს სიარულის არაქათი არა ჰქონდა. ავიკიდე ზურგზედ და საითკენლაც მივქროდი. ამ დროს ბოლისაგან სულ-შე:უ-ბებულს ფეხი გამისხლტა და წავიქეცი. ბევრხანს ვერ შევძე-ლი ადგომა, რადგანაც აზეირთებული ხალხის ფეხ-ქვეშ ვითე-ლებოდი.

— როგორც იყო ფეხზე ავდექი, განაგრძო ისევ, მაგრამ ახლა სხვა უბედურება დამატებდა: ჩემს ტანისამოსს ნაპერ-წელები მოჰქვდა, მოეკიდა კაბას და ძლიერ-ძლიობით გავიჭ-რე; ოუმტა ტანი დამწვარი მქონდა აქეთ-იქით, მაგრამ მაინც წამოვდექი, რადგანაც დედი-ჩემის მდგომარეობა ძალიან მაწუ-ხებდა. ვიცექირები აქეთ-იქით... არსად მოჩანს. შე დარ-წმუნებული ვიყავი, რომ იგი უილაჯო შორს ვერსად წავი-დოდა, აქ ჩემთან ახლო უნდა ყოფილიყო საღმე და ვეძებდი

*) ჩო — უდრის 20 არშინსა.



რაც ძალი და ღონე მქონდა. ცეცხლი უფრო დაუფრო ძლიერდოდა და ცოტა არა მიშლიდა მოძრაობას. ჩემს სასოწარკვეთილებას საზღვარი არ ექნებოდა, რომ ვიღასაც არ ექვევა ჩემთვის. რომ დედა ჩემი ცოცხალია და ფუკავავს თავ-შესაფარში წაუყვანიათო. მე მაშინათვე იქითკენ გავექანე. და მართლაც იქ დამხვდა დედა-ჩემი. როდესაცა ვკითხე თუ როგორ გაჩნდა აქ, მან მიამბო, რომ ცნობილ კიბუწის კულებმა მიპოვნეს და წამომიყვანეს აქ და შესანიშნავათ მე-ქუვიან და მივლიანო. ამის შემდევ, როდესაც დასაძინებლათ დავწვები, ფეხებს ფუკავავსკენ არ გავიშვერო *).

ამების გამგონე ბუნზეიმონი უფრო და უფრო აღტაცებაში მოდიოდა ჩიბების ნიკით, როდესაც ნანგრევებთან ჰედავდ, ახალ გილავნებს და ახლათ გამართულ ხის ფარდულებს, რომლების მასალაზედაც მისი სავაჭრო სახლის ბეჭედი აღდა.

ამ თვალიერებაში იყო გართული, როდესაც მან შენიშნა ორი სამურაი, რომლებიც ერთმშნეოს ელაპარაკებოდნენ.

— ერთი შეხედე, ჩემთ შეგობარო! ეს ახლათ შემოვლილი ღია კიბუწის კაცებმა გააკეთეს. ეს შესანიშნავი კაცი კველაფერს ასწრობს! თუ რომ ამისთანა უბრალო რამებს ასე შესანიშნავათ აკეთებს, აბა მაგის გაკეთებული სასახლეების რაღა უნდა იყვეს! უეპველია მაგას ჩააბარებენ სასახლეების განახლებას.

— მართალს ამბობ. თუ მას მიანდობენ რასმე, დარწმუნებული უნდა იყვე, რომ იკი უფრო იაფათ და კარგათ გააკეთებს, ვინემ სხვა ვინებე.

ამ ლაპარაკით აღტაცებულმა ბუნზეიმონმა ხელი ხელს შემოჰკრა და იქავ მყოფ მოსამსახურეს უხარა:

— ი ხომ ხელავო, მევიპრებო! ჩიპერი რომ არა გაურდათ, რომ ჩემთან დამდგარიყო... აბა ეზლა რას იტყვით...

მოსამსახურეებმა ერთმანეთს გადაპხდეს და აქვეს:

— მართლა რომ იგი ჭკვიანია, ჭკვიანია, თქვენზედ უფ-

*) იაპონელები ამას უზრუნველობათა სფეროსან.

რო კკვიანი. თუ კაცი ერთ, ორს თავისზედ კკვიან თანაშემ წეს არ აიყვანს. იგი დიდებული ვერ გახდება!

განუსაზღვრელი სიხარულით ბეჭნიერი ბუნზეიმონი შალე მივიდა ფუჟაგავაში და მიუახლოვდა თავის საწყობს. დანახა თუ არა ჩობეი, ჩამოართო მას ხელი და სთქვა:

— აჲ, მე არ შემიძლიან სიტყვებით გამოვთქვა ის სი-



ხარული დააღტაცება, რაც აღიბეჭდა ჩემს გულში თქვენი მოქმედებით. მე შემთხვევით გავიგე, რაც თქვენ გაგიკეთებიათ ჩემს აქ არ ყოფნის დროს. მე ჩემს სიცოცხლეში არ გამოიცდია ისეთი ღრმა სიხარული, როგორიც დღეს მე ვიგრძენი!

მართლაცა და ბუნზეიმონი სხვა დროს ასეთი ჩუმი, დაფარული, რომელიც თავის დღეში ვერ გამოპატავდა თავის სახეზედ ვერც სიხარულსა და ვერც მწუხარებას, დღეს, ამ ბეღნიერს დღეს; ვერ დაემალა თავისი გრძნობა.

თითქმის იედოში ყველა სახლი დამწვარიყო. სამხედრო პირნი და ვაჭრები უნდა ეხლავე თავდარიგს შესდგომოდნენ ახალი სახლების ასაშენებლათ. მაგრამ ხე-ტყე სულ გადამწვარიყო და მისმა ფასმა ერთი ათათ აიწია. ერთათ ერთ კიბუ-



ნის საწყობში იყო მასალა მოგროვილი და ისეთი დიდალი ბუშტარი მოატყდა ამ საწყობს, რომ მეტი არ შეიძლება. დი-ლი აღებ-მიცემობა გაჩალდა და ამ საწყობმა დიდათ-დიდი სიმ-ლრე შესძინა ბუნზეიმონს.

ამის გარდა მდიდარი თავად-აზნაურობაც შეუდგა სასა-ხლების გადაკეთებას და მასალას აქედგან დაუწყეს ზიდვა. აქაც დიდი ხეირი ნახა ბუნზეიმონმა.

ამ სიმდიდრის შეძენის მიზეზი, რასაკვირელია, ჩობეი იყო და იგი ძალიან ბლოის ფულით დააჯილდოვა. არც სხვა მოსამსახურები დაუტოვებია უყურადლებოთ, დიდმა თუ პა-ტარამ ყველამ საჩუქრები მიიღეს.

ამის შემდეგ დაიბარა უფროსი ხურო სეიხაჩო.

— აი, სეიხაჩო, შენთვისაც საჩუქარი.

ამ სიტყვებით, მის წინ დასდეს ყუთი, რომელშიაც ათა-სი „pio“ იყო.

ეს შეშინდა კიდევ.

— რასა ბრძანებოთ, ნუ თუ მართლა ამ ყუთში ათასი „pio“ არის?

— აი ასწიეთ ყუთი და დაინახავთ.

გაშინ სეიხაჩიმ ასწია და ცოტა არა ემძიმა.

— მართლაც რომ მძიმეა... ყველა ეს სიზმარი ხომ არ არის? ხოქვა სიხარულით, ხელი ხელს შემოჰკრა. ბუნზეიმონს ღიმილი მოუვიდა.

— სიზმარი კი არ არის, სინამდვილეა; ეს ოქრო შენ გე-კუთვნის და წაიღე შინ.

— არ ვიცი მადლობა როგორ გადაგიხადო. ცეცხლის დროს საქველ-მოქმედო ბენტო ერთი სამჯერ წავიღე, რადგა-ნაც სხვა საქმეცა მქონდა და განა ამ მცირე საქმისთვის აჯილდოებენ?

— ეს ჯილდო სრულიათაც იმისთვის არ არის.

— მაშ გალავნისთვის, სენ-დეი-სამას რომ გაუკეთე! ჩემის ბუშები ძალიან გვიან მოვიდნენ და ამისთვის იმ გალავანს კვიანობამდის მოუნდით, მაშინ როდესაც უფრო აღრე შეი-ძლებოდა გაკეთებულიყო.

— არც ამისთვის.
— არც ამისთვის? მაშ რისთვისა, რომ არ ვიცი.
— თქვენ რომ ერთი მშვენიერი საგანი მომზადეთ იმის-
თვის.

ხურო ვერავერს მიშვდა დასთქვა:
— არ ვიცი რა საგანზედ მელაპარაკებით, ბაჭონო!
— თუ არ გესმის ახლა კი გეტუვი: ამ საჩუქარს იმის-
თვის გაძლევ, რომ თქვენ ჩობეი მომვარეთ.
— თქვენ ჩობეი-სენზედ ლაპარაკობთ? აა, აი ახლა მივ-
ხვდი... წინათ კი არაფერი მესმოდა. მეც არ გამიკვირდა
ამოდენა საჩუქარს როგორ იმეტებს მეთქი. ეჭვ-გარეშეა, რომ
ჩობეი-სენი კაი კაცი გამოდგა. მე კი ასე მეგონა, მეტათ თვე-
ხედია მეთქი. თქვენ, იქნება მაგისთანა ჩობეი-სენი კიდევ მო-
გიყვანო? მაგისთანაები ბევრი მყავს.
— ეგ სხვა ჩობეი როგორი იქნება?
— ეს ის შესანიშნავი ზარმაცია, რომელმაც ეხლახან
მოხოვა ადგილის შოენა
ბუნზეიმონმა გადიხარხარა.
— არა გმაღლობთ; სხვა მაგვარი ჩობეი აღარ არის ჩუ-
თვის საჭირო.

აი ასე ამ რიგათ ბუნზეიმონმა ბევრი რამ დიდი საქმე
გააკეთა და მიაღწია იმას, საითქენაცა ქროდა მისი ფიქრი და
გონება—ივი გახდა დიდი ვაჭარი იაპონიისა. ტყუილათ კი
არ არის ნათქვამი:

ნაზი ყლორტი ჰქმნის მაგარ ღეროს,
მაგარი ხასიათი ჰქმნის დიდებულ საქმეს.

ა. ნათადე.

ხე-ბუბბერაზი.



ფრიკა ცხელი ჰვეცანაა; იქ უმეტეს ნაწილად თითქმის ერთნაირი ჰავაა ყოველგან. ამიტომ მცენარეულობა იქ ყველგან ერთნაირი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს ასე როდია ნამდვილ: ალაგ სხვა მცენარეებია და ალაგ სხვა იმ მიზეზის გამო, რომ ყოველგან ერთნაირად არ იცის წვიმა. უფრო მეტია იმისთანა ადგილები, სადაც წვიმა ცოტა მოდის. ამ ადგილებში ხშირია ოვალურწვდენელი მინდვრები, ველები და უდაბნოები;

იქ კი, სადაც წვიმა ბლომად იცის, ტროპიკული ტყეებია, ჟესანიშნავი უხვის მცენარეულობით. ამისთანა ტყეებია აფრიკის დასავლეთ მხარეებში და საშვალ აფრიკაში; მინდვრები და ველები კი აღმოსავლეთ ნაწილშია და სუდანში. საერთოდ ტროპიკულ ტყეებს, მინდვრებს და ველებს დიდი ადგილი უჭირავსთ აფრიკაში, დაწყებული საჭარის დიდ უდაბნოდან ქადახარის უდაბნომდის, რომელიც სამხრეთ აფრიკაშია, და ატლანტიკის ოკეანის ნაპირებიდან ინდოეთის ოკეანების.

სენებული მინდვრები და ველები სულ მოკლებულნიც არ არიან ხის მცენარეულობას; იპოვებიან აქა-იქ ხეებიც, მხოლოდ ჯგუფ-ჯგუფად ან ჭალებათ მდინარეების ნაპირებზე. ჟესანიშნავია ერთგვარი ხე. რომელიც სიღიღით ნამდვილი



ბუმბერაზია მცენარეთა სამეფოში. სახელიად ეწოდება ამ ხეს
ბაობაბი. სიმაღლით ათი საეკნი იზრდება, მაგრამ ამ მხრით
კიდევ არას წარმოადგენს გასაკვირველს: ჩვენ ვიცით, რომ
ზოგი ხის სიმაღლე, მაგალითად კოკოსის პალმისა, ათს სა-
უენზე მეტიც არის. გასაოცარია ტანის სიღიდე ბაობაბისა,
მისი სიმსხო. მოგზაურების თქმულებით, რომელნიც ყოფი-




ლან აფრიკაში, ისეთ ბაობაბს შეხვდებით თურმე იქ, რომ
თხი საუენი სისქე აქვს გარდი-გარდო. ირგვლივ თერთმეტი
საუენზე მეტი იქნება მისი ტანი; თორმეტი-თხუთმეტი კაცი
ძლივს შემოსტევს ხელს. რასაკვირველია, ამისთანა ბუმბერაზ
ხეს დიური აღვილიც უნდა, რომ შორს გაისხას ფეხსვები და
ისაზრდოოს. ამიტომაც არის, რომ ბაობაბის ხეები სხვა ხე-
ებს ვერ ჰგუმბენ ახლოს და უმეტეს შემთხვევაში განმარტო-
ებით იზრდებიან. შორიდგან რომ დაინახავ ბაობაბს, გეგონე-
ბა დიდი, უზარმაზარი კარავია აგებულიო. მის ჩრდილში ძა-
ლიან აღვილად მოთავსდება რაზენიმე ასი კაცი, ისე შორს
გაუწვდია განზე თავის ტოტები. თითოეული მისი ტოტი იმ-
დენად მსხვილია, რომ ჩვენებურს ძალიან მსხვილ მუხის ტანს



უდრის. შტოები ხშირი ფოთლებითა აქვს შემოსილი, რის გამოც მშვენიერი ჩრდილი იცის. ხანდახან ნადირებიც მოღან ხოლმე ბაობაბის ძირში გასაგრილებლად და დასასვენებლად.


ერთიც ვნახოთ ტყის პირად გამოჩნდა ყურებჩამოპანტუ-
რებული სპილო თავის გრძელი ხორთუმითა, რომელსაც რან
იქეთ გაიშვერს, ხან აქით, ეტყობა სუს იკრავს, რაღაც უნ-
და გამოარკვიოს ყნოსით ეს არის გამოცდილი ბელადი, ხნი-



ერთ სპილო, რომელიც სხვებს წინამდლვრობს. მას მოჰყვება უკან მთელი ჯოვი სპილოებისა, ზოგჯერ ასი თავი. ზოგჯერ ასზე რეტიც. გამოვლენ 130ლები ტყიდან და ლინჯაღ გაე-
მართებიან ბაობაბისაკენ. მივლენ მის ძირს და დალაგდებიან


ზასასვენებლად. მაგრამ გაიარა მხოლოდ რამდენმამე ჭამა და უეცრად გულის შემთხვევი ლრიალი გაისმა რაღაცა ცხვევლისა. ბელადმა ყური აცქენიტა. დანარჩენი სპილოები შექმნან და შეიძრენ. ბელადმა მიაჰყრო თვალი იქითკენ, საღანაც მოესმა ლრიალი. დიდი ხანიც არ გაივლის ამას შემდეგ. გამოვარდება ტყიდან ვეებერთელა თავდიდა ოთხფეხი ცხოველი. ეს წყლის კამბეჩია. თურმე მას დადევნებია უკნებაბროტებული მარტორქა და უნდა ააგოს თავის წვერი მახვილ რქაზე, რომელიც ასხია მას ცხვირზე. ხანდახან ბააბა-ბის ჩრდილში გარეული თხებიც დალაგდებიან ხოლმე, რომ თავისუფლად ინაცხობონ, მაგრამ ვინ ალირსებს იმ საწყლებს ხანგრძლივ მოსვენებას იქ; საღაც იმსიდიდე ცხოველებიც კი, როგორც სპილოები, შიშისქარმა აიტანა, როდესაც გაისმა იმარე-მარეს საოცარი ლრიალი ბექებოტისა (წყლის კამბეჩისა).

როდესაც დაბერდება ბაობაბი, ფულუროს გაიკეთებს, იმ სიდიდე ფულუროს, რომ სადგომს მოაწყობენ ხოლმე იმაში აფრიკის ველური ადამიანები, რომელთაც სახლ-კარი არ გააჩნიათ. შევლენ ფულუროში თავის ცოლშილი, მთელის თავის ქონებით, რაც გააჩნიათ, და სცხოვრობენ იქ, როგორც სახლში. ფულურო იმდენად დიდი იქნება ხოლმე, რომ ხანდახან, როდესაც ჰქეა-





ქუხილი და აფთხობს ველურ აღამიანებს, ან როდესაც დი-
ლი ჟეთქი წყიმა მოდის, სამოცდა ათი-ოთხმოცი კაცი შეაფა-
რებს იქ თავს.




ბაობაბი იძლევა ნაყოფს, რომელიც შესახედაობით ნეს-
ვა ჰგავს; მოგრძო მრგვალია და სიგრძით უვიდი გოჯი იქ-
ნება. გემო ნაყოფისა სრულიადაც არა ჰგავს ნესვისას. მაინ-
ცა და მაინც გემრიელი ვერ არის, მაგრამ იქაურნი მცხოვ-
რებნი ჰმარობენ საჭმელად. ძალიან მაღიანად მიირთმევენ ამ
ნაყოფს მაიმუნები, რომელნიც ხშირად ეწვევიან ხოლმე ბაო-
ბაბის ხშირ ფოთლოვან შტოებს და დაისადგურებენ იქ.

ბაობაბის ხე ძლიერ დიდ ხანს სცოცხლობს. მოგზაურე-
ბის სიტყვით ბაობაბებს შორის იპოვებიან იმისთანები, რო-
მელნიც ორიათასი-სამიათასი წლისანი არიან. სამშობლო ამ
ხისა არის აფრიკა, და მხოლოდ იქ შეხვდება აღამიანი გარე-
ულს ბაობაბს. ერთს ადგილს ამ ქვეყანაში, სახელდობ სენ-
გაშიანში, არის ბაობაბი, რომელიც თურმე ექვი ათასი წლის
აშების მოწამეა! ინდოეთში და ანტილის კუნძულებზედაც
იპოვება ბაობაბი, მავრამ იქ აღამიანის ხელით არის მოშენე-
ბული.

ბაობაბის ფოთლები და ქერქი სასარგებლოა. შავკანა
აფრიკელები გაახმობენ ხოლმე ფოთლებს და ქერქს, დანა-
ჟვენ წმინდათ, გახსნიან წყალში და ხმარობენ ციფის წამ-

ლად. თოთონ ნაყოფიც წამალია ცეკვისა და იმათაც ჰრებებს, ვინც მუცლის ფალარათით არის ავაზ. ბაობაბის ქერქის ფერფლს ბევრი ნაცარწმულის მარილი აქვს ბუნებით და ამიტომ მის ნაცარწუტისაგან პალმის ზეთქან შეზავებით ამზადებენ საპონს.

ა. ჭიჭინაძე.



ექიმი ისააკის განსაცდელი.

რუბაჟინისა.

(გაგრძელება)



აპის მხლებლები ასეც მოიქცენ. ისა-
აკი დაარჩინეს ავათმყოფთან და მის
სახლში გაგზავნეს კაცები შემდეგი
ბრძანებით: მოიტანეთ სასახლეში მი-
სი საექიმო იარაღები და მოგვიგვარეთ
მისი შვილები, თუ შვილები არა ჰყავს,
მაშინ ცოლი მოგვიყვანეთ.

— დავაძალოთ ისააკს, — ფიქრობ-
დენ ექიმები და პაპის მხლობელნი,
— რომ თავის ნათესავებისაგან გადილოს სისხლი პაპისთვის,
თავისი ცოლშვილის სისხლი მისცეს პაპს. თუ ისააკს ცუდი
განზრახვა არა აქვს რა, მაშინ თავის შვილების სისხლსაც არ-
დაიშურებს, ფრთხილათ იქნება, ეცდება შვილები არ მოჰ-
კილს. თუ ამაზე უარს გვეტყვის, უსათუოთ ავი განძრახვა-
ჰქონებია. მაშინ სიკვდილის ღირსი იქნება, როგორც თითონ
ისე მისი ნათესავები და მთლათ მისი ერიო.

გაგზავნილები დაბრუნდენ, მოიტანეს საექიმო იარაღები,
მოჰკვარეს ისააკს ორივე შვილები. ვაჟები თრთოდენ, ტირო-
დენ, ერთმანერთს ეკროვენ, არ იცოდენ სად და რისთვის
მიჰყავთ.

— აბა, ახლა შეგიძლია სისხლი გადილო, — უთხრეს ექი-
მებმა ისააკს, — საექიმო იარაღებიც მოგიტანეს და კაცებიც:
მოგვიგვარეს სისხლის ასაღებათ.

— სად არი კაცები? ჰკითხა ისააკმა.

— წამოდი ჩვენთან და ნახავ
 შეიყვანეს ისააკი იმ ოთახში, სიღაც დამშევდეული ჰყავ-
 დათ მისი შვილები და უთხრეს:
 — აი ამ ყმაშვილებიდან გადუღე სისხლი მის უწმინდე-
 სობას.

გაფიტრდა ისააკი თავისი შვილები რომ ნახა. ფექტათ
 არ მოუვადოდა, რომ მათ აქ ნახავდა, ყმაშვილები ტიროლენ
 და იშვერდენ მისკენ ხელებს.

ისააკი მიუხსლოვდა, დაუწყო ალერსი და უთხრა:

— რას ტირით, საყვარელო შვილებმ? დამშვიდით, მე
 ოქვენთანა ვარ! ვინ გაბედავს რომ უჩიმოთ ხელი გახლოთ.

თან კი გული უტოკავდა და ნაღვლის ბოლმა აწევებოდა
 და ფიქრობდა:

„უთხრა თუ არა უარი ჩემი შვილებისაგან სისხლის აღ-
 ბისა? არა, არ ვეტყვი! ჩემი გამოცდა ხომ სიმართლეა. ჩემი
 შვილები იყოს თუ სხვა, სულ ერთი არ არი! ყველას დავუმ-
 ტკიცებ, რომ სიმართლე ყოველთვის სიმართლეო დარჩება.“

მაინც გულს რაღაც უწუხებდა. მაგრათ მოეხვია შვი-
 ლებს, გაუღიმა, აკოცა და კვლავ ფიქრობდა:

— მექნება თუ არა იმდენი ღონე, რომ გავიმარჯვო? ხე-
 ლი რომ ამიკანკალდეს, როდესაც შვილებს ჩავურქობ ისარს
 სისხლის გამოსაშვებათ? ღმერთო, მომე ღონე, შემაძლებინე!“

თან კოცნიდა და ანუგეშებდა შვილებს. ექიმები, კარის
 კაცნი უყურებდეს ბოროტი ღიმილით და ერთმანერთს უჩუ-
 ჩულებდენ. . ახლავე ისააკი უარს იტყვის, ხელს არ ახლებს
 თავის შვილებს!“

ისააკმა კი კბილი კბილს დააჭირა, წარპები შემუხხნა,
 ჩაჰკიდა ხელი შვილებს, ფკრ მიხდილი მიუხსლოვდა ექიმებს
 და უთხრა:

— აბა, წავიდეთ მის უწმინდესობასთან, მე მხარეავარ ..

ჯარის კაცებს გაუკვირდათ ეს სიტყვები და უფრო შეი-
 ტუოს ჯემსი. ის კი შევიდა პაპის საწოლ ოთახში და შეუ-
 დგა მომზადებას სისხლის ასალებათ და თავის გულში ფიქ-
 რობდა:



„პაპი ძალიან სუსტია, სისხლი ბლომათ დასჭირდება. ორივე შვილებისგან ცოტცოტა სისხლს ავიღებ, მაშინ სისხლის გამოშვება არ ავნებს აჩათ. მე ჩემ შვილებს ვეტყვი, რომ არა დაუშველებათ რა და დამიჯერებენ“.

ისააკი ასეც მოიქცა ოთახში ფანჯარა გააღეს, რომ უფრო სინათლე ყოფილოყო; მეტი ხალხი დაითხოვეს ოთახიდან; დარჩენ მხოლოდ ექიმები და ისინიც კი ისააკმა მოშორებით დააყენა, ეშინოდა რომ უცოდინარობით ხელი არ შეშალათ მისთვის.

ისააკს გული საშინლათ უკანკალებდა, როდესაც ბასრი ტანა მიაიარა თავის უფროსს შვილს. ყმაწვილი არა ტიროდა, მხოლოდ თავისი პატარა თვალები შიშით დაეჭყიტა, თრთოდა სიმწარით და შეცეროდა ხან მამას, ხან პაპს, რომელიც მკვდარივით გადასვენებული იყო ატლასის ბალიშებზე.

ისააკი თანდათან ფერს ჰერაკლეს და ლოცულობდა:
— ყოვლათ შემძლე ღმერთო! მომე ძალა და ლონე!

ი ერთი წუთი კიდევ და გათავდებოდა ყველაფერი ისააკს მოქმედენა რომ ხელი აუკანკალდა. გადაფითოდა და გადასედა შვილს, ყმაწვილი იღიმებოდა, თუმცა თვალებზე ცრემლი ჯერ არ შემროდა ისააკი ცოტა დამშვიდდა.

— დიდება ღმერთს, იფიქრა მან, საქმე ღვთის მოწყალებით კარგათ წავიდა. უფროსი შვილი შემრჩა.

შვილს შეუხევია იარა, აკოცა და მერე მეორე შემოაყვანინა. ექიმები შეცეროდენ გაკვირვებული მისი ცოდნით. პაპი თითქოს გაცოცხლდა, იგრძნო რომ ძარღვებში ახალი სისხლი მოქმატა; თავი მაღლა აიწია და ყმაწვილს უთხრა ორიოდ ალერსიანი სიტყვა.

მაგრამ ამ სიტყვებმა ყმაწვილი უფრო შეაშინეს. ბავშვა შეედა მამას და ცრემლით უთხრა:

— მამილო, მალე გაათავებ? მტკიცა, ოი, რა ნაირათ მტკიცა!

— მოითმინე, შვილო! კიდევ ერთი წუთი დაგათავდება, — ეუბნებოდა ისააკი და თან ძლივს იკავებდა ცრემლებს. უბედურს ხელები უკანკალებს, თვალებიდან ვეღარას ხედავს.



მხოლოდ თვალშინ ებლანდება შვილის ხელზე საშინელი ჭრობა.

სისხლის გადაღებაც გაათავა ჯემსმა, შეუხვია პაპს და შვილსაც ჭრილობები და თან ფიქრობს:

„დიდება ღმერთს! ბოლო კეთილათ დაგვირგვინდა!“

პაპიმ შეხედა და უახრა:

— მადლობელი ვარ, ისაკ ჯემს შენ მე მომანიჭე სიცოცხლე და სამაგიეროთ ღირსეულ ჯილდოსაც მიიღებ.

ისაკმა მძიმეა, თავი დაუკრა, დაუჭირა თავის შვილებს ხელები და გამოვიდა მეორე ოთახში.

აქ გარს შემოეხვივენ დიდებულნი ჯარის კაცნი, ნათესავნი პაპისა და სხვები. ყველა ულოცავლა გამარჯვებას, გაკვირვებული იყვნენ მისი ხელოვნებით, ართვევდენ ხელებს, ეალერსებოდენ მის შვილებს და მერე კარის კაცებმა სალაპარაკოთ მეორე ოთახში გაიყვანეს.

ისაკი დიდ სიმშვიდეს და ბერნიერებას ვრძნობდა. მარტო ის კი არ იყო, რომ კაცს სიცოცხლე მიანიჭა — იმან უწვენა ყველას, რომ ადამიანების საბეჭნიეროთ აოის ნაპოვნი ეს ჰეშმარიტება. მერე როგორ დაუმტკიცა ეს ჰეშმარიტება თავის შვილებზე? ბოროტმა კაცებმა დააძალეს, რომ მას თავის შვილებზე გამოეცალნა. . მაგრამ ღმერთი სამართლიანია... გიარა ისაკმა დარბაზი, შევიდა იმ ოთახში, საცა შვილები ეგულებოდენ. გააღო კარი თუ არა, ნახა რომ ოთახი სავსე იყო კარის კაცნით. ყველას ერთათ თავი მოეყარათ, დაფათურებდენ და რაღაზედაც ლაპარაკობდენ, მათი ხმები იკარგებოდა ჩანსელებულ დიდ დარბაზში, საღაც მზის სხივები ძლივ-ძლიობით ანათებდა ფერადი შუშის ფანჯრებიდან.

ისაკმა მაშინვე გასწი გამოსწია ხალხი და მივიდა პირდაპირ ფანჯარასთან. ნუ რა თვალმა ნუ ნახოს ის, რაც იმან ნახა. ხის ჩუქურობიან სკამეიკაზე იწვენ მისი ორი შვილი. უფროსი უძრავათ იდო თავ გადაგდებული, სახე გალურჯებული, თვალების კაკლები გამოცვივოლა და ხელფეხი ჩამოგდებული ჰქონდა, მის გვერდით უნცროსი იმანჭებოდა, გაუგებრათ ყვიროდა, სული უკუბდებოდა.

ისააკი შვილების დანახვაზე თითქოს გაქვავდა, ხმა ვე-
რა ამოიღო, ენა ველარ დაძრა. თმები ალუზე აუდგა, თვა-
ლები გაუდიდდა, გაშტერდა... მერე თავში იცა ხელი და
დაიყვირა:

— შვილებო, ჩემო შვილებო!

მივარდა მათთან, წინ დაუჩიქა, ცრემლი არ უჩანდა
თვალებზე, მხოლოთ კანკალებდა და სულს ძლივს იბრუნებდა;
ხელები უთროთდა, შვილებს თან კოცნიდა და თან სრესავ-
და. სულ ამაო იყო, იმის წინ მხოლოთ გვამები ეყარენ, რო-
მელნიც თანდათან გაციცდენ.

მაშინ კი ისააკი წამოხტა ფეხზე, იტაცა თმებში ხელი,
წაბარბაცდა, ერთი საშინლათ დაიკვნესა და დაიყვირა:

— შვილებო, ჩემო შვილებო!.. ეს რა დამემართა?

ამ საზარელი ამბით კარისკაცნი გაოცდენ და უკან დაი-
წიეს. ისააკი სწრაფათ გავარდა ოთახიდან, თმების გლეჯით
და თავში ცემით დარბოლა სასახლის დერეფნებში და დარ-
ბაზებში. მას არა ესმოდარა, არასა ხედავდა, ხან ვის წააწ-
ყდებოდა თავზე და ხან ვის, ზოგი ლანძღავდა, ზოგი გაურ-
ბოდა როგორც გიეს. ბოლოს მსახურებმა სტაცეს ხელი და
ქუჩაში გააგდეს. გარბოდა უბედური გაიქცა, თითონაც არ
იცოდა საიდ.

პაპს ამ დროს ეძინა ისე დაშვიდებით და მოსვენებით,
როგორც დიდი ხანი არ სძინებოდა. მას გვერდით უდგენ ექი-
მები და ჰკვირიბდენ, რომ ისააკ ჯემის წამლობა ასე კარგათ
მოუხდა. ნათესაობა და კარისკაცნი სიხარულით აღარ იყვენ,
რომ მათი უწმინდესობა გადარჩა სიკვდილს.

როდესაც შეიტყეს ამათ, რომ ისააკის შვილები დაიხო-
ცნენო, თავი გადიქნ-გადმოიქინეს და თქვეს:

— ალბათ ღვთის ნება ყოფილაო? მერე დაუმატეს:

— მის უწმინდესობის სიცოცხლე უფრო ძვირათა ღირს,
ვიდრე ვიღაც ორი ბავშისა.

და სულაც აღარ გახსენებიათ ისააკი; მხოლოთ უბრძა-
ნეს მისი შვილების გვამი საკაცეზე დაედოთ და მიეტანათ



დედმამის სახლში. ამ ამბის ღროს საბრალო ლია თავის სახლში ქვითინებდა და შფოთავდა. ქალი ტიროდა, როდესაცა. პის გამოგზავნილებმა წაიყვანეს მისი ქმარი, მაშინ კიდევ უფრო ტიროდა, როდესაც წაართვეს შვილები, დიდხანს იყო ლია სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი და მოლოდინში, თუ სად არი მისი ქმარი? სად არა მისი შვილები? ცოცხალნი არიან თუ არა?

მზე მაღლა იყო, როდესაც ქმარშვილი წაართვეს და ამ ლია ჩასვლასაც აპირებდა, ღმძებოდა და ისინი კი სახლში არ დაბრუნებულან. ლია მოხუცებულ არონს თავთ უჯდა და თან უური კარებისკენ ჰქონდა, ქმრის დაბრუნების ხმაურისას უცდიდა.

ბოლოს მოისმა კარის ბრახუნი და ქუჩაში ხმაურობა. ლია ჩავარდა კიბეზე და გააღო კარი. ნახა ვიღაც უცნობი კაცები საკაცეებით. საკაცეზე შავ საფარავ ქვეშ იდო გვამები მისი შვილებისა. ლია გაფიორდა, წაბარბაცდა და წაიქა მკვდარივით. მსახურებმა ასწიეს ლია და შეიყვანეს ოთახში. კაცებმა დადვეს გვამები სკივრზე და წავიდენ.

ლია დიდხანს არ მოხულა გონჩე, მხოლოდ მეორე დღეს იკითხა.

... სად არი ჩემი ქმარი? დამიძახეთ!

— ქალბატონო, უპასუხა მსახურმა, ბატონი არ დაბრუნებულა სახლში.

დამიძახეთ შვილებს!

მსახურნი ხმა ამოუღებლივ ერთმანერთს შეჰყურებდენ და მერე ნაღვლიინათ ძირს დაუშვეს თავი.

ლიას მოაგონდა ყველაფერი და ხელახლათ დაიწყო ტრილი:

გავიდა ერთი კვირა. ლიამ შვილები დამარხა, შავებში შეიმოსა, მუდამ ტიროდა და ქმრის მოლოდინში იყო.

გავიდა მეორე კვირაც. ისაკ ჯემსი არ დაბრუნებულა სახლში. ვისაც კი ჰყითხავდენ, არავინ იცოდა თუ ის უბედური სასახლიდან სად წავიდა. ყველა ფიქრობდა, რომ მოკვდა.




დაცარიელდა ჯემსის სახლი, აღარ მოისმოდა ყმაწვილების უივილ-ხივილი, ავათმყოფი და უძლური აღარ მიეშურებოდა იმათან გასაკურნათ. მარტო საბრალო ლია ტიროდა, ლოცულობდა და ქმარს მოელოდებოდა. ავათმყოფი და ლონე მიხდილი მოხუცებული ირონი ცდილობდა ნუგეში ეცა მისთვის და ვერა გაეწყორა. ცხარე ცრემლებს ღვრიდა დაობლებული ლია.

გაფიდა ერთი წელი, გავიდა მეორე, მესამე, დადგა მეორე წელი, ისიც გავიდა. ცრემლისგან და უძილობით ლიას თვალები ასტკივდა, თანდათან ტკივილმა უმატა, ჯერ ბუნდათ ხელავდა, მერე უფრო უარესაო, ბოლოს ორივ თვალებჲ თეთრათ გადაეფარა. საბრალო ლია დაბრმავდა.

(ზემდებარება იქნება)

ან. წერეთლისა.



ჩლახენა დათუნია.

სეტონ ტომპსონისა.

(დასასრული)

V



უ დათვები ხშირათ სასტიკათ ზრდიდნენ თავის შვილებს. ბუსხუნა კი ალბათ ანებივრებდა თავის ჩლახუნას და ამიტომაც უბედურობა ეწეოდა ხოლმე. მე მიამბეს ერთი შემთხვევა, როცა ჩლახუნას საოცარი შესარცხვენი საქმე დამართნია. ჩლახუნას ძალიან უყვარდა შავი ქლიავი; გარედანვე სცნობდა ქლიავის კოლოფებს ნახატებზე და იმის სუნი საოცარ აღტაცებაში მოიყვანდა ხოლმე. ერთხელ სასტუმროს მზარულს გამოეცხო ქლიავის ტკბილი კვერები. ამ დროს ქარჩა წამოუბერა სასტუმროდან ტყისკენ და ჩლახუნას ცხვირში ეცა მშვენიერი ტკბილი სუნი. ეს მაშინ მოხდა, როცა ბუსხუნა თავის ჩლახუნას ასუფთავებდა: ულოკავდა ცხვირ პირს და ვარცხნიდა.

სასიამოვნო სუნი ეცა თუ არა ჩლახუნას, მაშინვე გამოიწია; დედამ კი არ ვაუშვა; მაშინ ჩლახუნამ ოდნავ უკბინა თავის დედას. ხოლო დედამ შვილის დასჯის მავიფრათ ერთი წაიბუსხუნა და ვამოედევნა თავის გაუგონარ შვილს, რო უჩემოთ არა მოუვიდესრაო.

პატარა დათუნიას ცხვირი ქარისკენ ეჭირა და მალეც მიაგნო სასტუმროს სამზარეულოს: იგი დრო გამოშვებით ხეზე ადიოდა და აქეთ-იქით იყურებოდა; დედა კი ძირიდან უყარაულებდა. სამზარეულოს კარებს რო მიუახლოვდა, ჩლა-

ხუნა აცოცდა მახლობელ ხეზე და მორთო საშინელი წკმუ-
ტუნი, რადგან წინ ვეღარა ბედავდა წასვლას.

ბუსხუნა გაოცებული შესცემროდა თავის შვილს, მაგ-
რამ დაპირა თუ არა დედამ წასვლა, ჩლახუნამ ისეთი საცო-
დაფი ღრიალი მორთო, რომ დედამ ვეღარ დასტოვა. ბუსხუ-
ნის თითონაც ძალიან უყვარდა შავი ქლიავი; იგრძნო თუ
არა შავი ქლიავის სუნი, ძუ დათვმა ვეღარ შეიმაგრა თავი
და ნელ-ნელა გასწია სამზარეულოს კარებისკენ.

ძუ დათვის ასეთმა გაბედულობამ არავინ გააკვირვა. იქ
ჰყოფნი იყვნენ დათვების სასტუმროსთან მისვლას და ნაყირ-
ნუყარის კრეფას. ბუსხუნა ეხლაც, უსათუოთ იპოვნიდა სა-
ყვარელ ნაკერს, რო სულ მოულოდნელათ სხვა ცხოველი
არ გამოსცხადებოდა.

საქმე იმაშია, რომ ამ კვირია ვიღამაც სასტუმროში ჩა-
მოყვანა ციმბირის კატა. კატა ჯერ სულ ახალგაზრდა იყო,
მაგრამ შვილებით სავსე იყო. ოოდესაც ბუსხუნა უახლოვდე-
ბოდა სამზარეულოს, მაშინ კატა თავის ოჯახობით ზემოთა
კიბეზე მზეს ეფიცხებოდა. კატამ გამოახილა თვალი და დაი-
ნახა რაღაც უშველებელი გაბურძენილი მოჩვენება სულ
ხლოს, თავის შვილებთან. დათვებზე მას წარმოდგენაც კი
არ ჰქონდა; ძალლის მეტი არა ენახარა; ხოლო ეს ცხოველი
კი ბევრით დიდი და სამზარელი იყო ძაღლზე და გარდა ამისა
პირდაპირ იმის შვილებისკენ მიემზავრებოდა.

კატამ მაშინვე გაქცევა დააპირა რაც ძალი და ღონი
ჰქონდა, მაგრამ კნუტები მოაგონდა. მფარველობა უნდა გა-
ეწია შვილებისათვის. კატამ ზურგი ამოიზნიქა, ბალანი ყალ-
ყზე დაუდგა მთლათ ტანზე და კუდზე, კლანჭები დაიგრძელა
და მორთო საშინელი ღრიალი, რომელშიაც ასეთი ბრძანება
ისმოდა: „შეჩერდი! ფეხი არ დასძრა!“

თუმცა ენა კატისა იყო, მაგრამ ძუ დათვი მაინც მიხვდა
და არამც თუ შეჩერდა, დაცუცქდა უკანა ფეხებზე და წინა
ფეხები მაღლა ააშვირა, თითქოს რაღასაც ევედრებოდათ.
ამ მდგომარეობაში დათვი კიდე უფრო დიდი სჩანდა, ხოლო
კატა იმის ფეხის ოდენაც აღარ.



ଦୁଃଖକାମ, ଦେବେରମା ଦାତ୍ତମା ଉତ୍ସବେଣୁଧେଲ ପିଲାରାସ ଗୁପ୍ତମନ୍ତ୍ରି
ନମଶ୍ଚି ଲା ଦାତ୍ତିଜ୍ଞାର୍ଥ ମହାପୁର୍ବମୁଳ ବିନ୍ଦୁତ୍ୟପିଲା ଶ୍ରୀଶିନ୍ଦ୍ରୀ,
ଅ କାରୀର ଗାନ୍ଧାରିମାନଙ୍କା କମି ଏରିଲେ ଫାମ୍ବ ଶ୍ରୀଦିଲ୍ଲା.

ଦାତ୍ତମା କିଲେବାପ୍ର
ଶ୍ରୀକୁନ୍ତା ତାଙ୍କିଲେ ତା-
ଙ୍କିଲେ. ଅ ଲାଲିଲେ ଶ୍ରୀ-
ଲାଲିଲେ ସାପନାବୀପି ଶ୍ରୀମୁ-
ତୁନିପ୍ର ଶ୍ରୀମନ୍ଦେଶମା ଲା
ମିତ ଉତ୍ସବ ଗାନ୍ଧାରିପି-
ଲା; ମାନ ହାମନ୍ତଶ୍ରୀ ଶିଂ-
ନ୍ଦ ଯେବେଦି ଲା ଲାଲା
ପ୍ରେମିତ ମନ୍ତ୍ରମନ୍ତ୍ରାଲା.

କାରୀର ବେଳାକ୍ଷମା
ଶ୍ରୀକୁନ୍ତାପିଲା: ..ଶ୍ରୀଦେ-
ଶ୍ରୀ!

ଦାତ୍ତମା ପୁରୀପ୍ର ଏକ
ଅନ୍ତର୍ବିଦ୍ୟା.


ଅ ଲାଲିଲେ କାରୀରାପ୍ର
କିନ୍ତୁରେବିଲେ ସୁଲାପି କିନ୍ତୁ-
ବାଲିଲେ ଶ୍ରୀମନ୍ଦେଶମା, ଉତ୍ସ-
ବାଲ ମେତାତ ଏଲ୍ଲାଲାପି

ଏ ଏହା ପ୍ରେବିନ୍-ବିନ୍ଦିଶ୍ଚି ଦାତ୍ତମା. କାରୀର ଯେ ଏହା ହାତିନା, ଶ୍ରୀ-
ଶ୍ରୀମନ୍ତ ଶ୍ରୀରାମ ଶ୍ରୀବ୍ରତ, ଯେ ଏହା ମିଳିଲେ ଦାତ୍ତମା ଶର୍କ୍ଷଯାନ୍ତିରିବା
ଅନ୍ତର୍ବିଦ୍ୟା ମିଳିପିଲାନ୍ତିରିବା.

ଏ ଦାତ୍ତମା ଏହା ପ୍ରେବିନ୍-ବିନ୍ଦିଶ୍ଚି ଦାତ୍ତମା ଗାନ୍ଧାରିପିଲା
ଗାନ୍ଧାରାଶ୍ଚେବିଲା କାରୀରାତାନ ଶ୍ରୀରାମାର୍ଥା. ମାଗରାମ ମିଳିଲେ ଗାନ୍ଧାରାତାନ
ଶ୍ରୀରାମା.

“କାରୀର କି ସିଲେଲି ଆୟଦୁଲାଲା ଲା, କିଲେବି ଶର୍କ୍ଷଯାନ୍ତିରିଲା ହିନ୍ଦୁବି.
ଦୁଃଖକାମ, ତାଙ୍କିଲେ ଶର୍କ୍ଷଯାନ୍ତିରିଲା ଶ୍ରୀମନ୍ଦେଶମା, ସାମ୍ବନ୍ଧିଲେ ଯେବେଦି
କି ବେଶୀ, ନ୍ତାପା ହିଲାକାମା ନିଜିଲା. କାରୀର ବେଶୀ ଅନ୍ତର୍ବିଦ୍ୟା ପ୍ରେବିନ୍-
ବିନ୍ଦିଶ୍ଚି, ରାଜଗାନ ଏହା ମହାପିଲାତାନ ମହାପିଲାଦେବିଲା ପିଲାନ୍ତିରିଲା.
କାରୀର ମାନ୍ଦିନ ଗାନ୍ଧାରିମାନଙ୍କା ଦାତ୍ତମାକିଲେ ଶ୍ରୀରାମାର୍ଥା, ନ୍ତାପା ଦାତ୍ତମା, ଶ୍ରୀ-
ଶ୍ରୀରାମା ଦାତ୍ତମାକିଲେ ଶ୍ରୀରାମାର୍ଥା, ବେଶୀ ଅନ୍ତର୍ବିଦ୍ୟା ଦାତ୍ତମାକିଲେ.

କାରୀର ମିଳିଲେ ଦାରିହା ଲା ତାଙ୍କିଲେ ଏଲ୍ଲାଲାପି ଏହାକିଲେ ଦାତ୍ତମାକିଲେ.



ყველ მოძრაობას. ხეს დარაჯობდა, ხოლო დათვებს თავ-შიც არ შოსდიოდათ ძირს ჩამოსვლა.

კატის კნუტები დედას შემოუსხდნენ და ხარობდნენ იმის გამარჯვებით. ვა იცის როდემდინ ყოფილიყვნენ ასე ჩასა-ფრებულნი, რო სასტუმროს მზარეული კატებს არ გამოხა-ურებოდა.

VI

ჩლახუნას ნახვა უკანასკნელით ნახევარ მარიამობისთვეს მომიხდა:

დათუნა ჩვეულებრივ ამძრალიყო ნაძვზე, დედა მისს კი, ბებერ ბუსხუნას უშველებელი ჯოხი გეყარა წინა ფეხებში და სდარაჯობდა თავის შვილს, რო არავის ეწყეინებინა, რად-გან ჩლახუნა სულ ერთ თავად საცოდავის ხმით გაჰკიოდა, დედაც სულ იმის ფიქრში იყო, ვაი თუ ვინმე აწყეინოსო.

ხოლო ბუსხუნას გრძნობა შვილისადმი, როგორც ამ-ბობდნენ, ხანგრძლივი არ იყო. ეს გრძნობა ბუსხუნას დღითი დღე უნელდებოდა. ისე რომ მარიამობისთვის ბოლოში ჩლა-ხუნა თითქმის მთელი დღე მარტო-მარტო იტარებდა დროს.

რა ბოლო პქონდა ჩლახუნას, მერე შევიტყე სხვისგან, რადგან მე იქიდან მალე წავედი.

ერთხელ დიღა ადრიან, როგორც მიამბეს, ჩლახუნა გამოედევნა დედას სასტუმროს უკანა ეზოში.

სამზარეულოში ფუსფუსებდა ახლათ დაქირავებული ირ-ლანდიელი ქალი, ნორა.

ნორამ რო დათუნია პირველათ დაინახა, ხბო ეგონა და გამოუდგა კიდეც ბოსელში შესამწყვდევვათ ბუსხუნამ კი სა-მზარეულოს კარები რო ლია დაინახა, მაშინათვე კატა მოა-გონდა და შეშინებულმა მოჰკურცხლა ტყისკენ. ჩლახუნასაც გადაედო დედის შიში და დაედევნა უკან, მაგრამ ვერ დაე-წია და ხეს მიაშურა. საუბდედუროთ ეს ხე სვეტი გამოდგა. სვეტი საშინელი მაღალი იყო. ამიტომ ჩლახუნას შეეშინდა და მორთო საცოდავათ ღრიალი. ამით დედას შესთხოვდა შველას, შაგრამ ბუსხუნამ თავის თავს უშველა და შვილს კი ყურიც არ ათხოვა. ნორამ რო ბოძზე დათვი დაინახა, მეტათ

გაოცდა და ყვირილი მორთო. ამ ყვირილზე სამზარეულოს მოსამსახურენი მოცვივდნენ. იცნეს ჩლახუნა და გადასწყვეტეს იმისი დაჭერა. მოიტანეს საყელური, ჯაჭვი და დიდი ბრძოლის შემდეგ, რომლის დროსაც ბევრს მოხვდა ჩლახუნას პრეცედენტი, გაუკეთეს საყელური საცოდავ დათუნას და ჯაჭვით ხეს გამოაბეს.

ტყვეთ რო დაინახა თავისი თავი, საცოდავმა სინახელით ხმა ვეღარც კი ამოიღო. იქამდის გლიჯა და სწყვიტა ჯაჭვი, მანამ მოქანული უღლონთ დედამიწაზე არ დაეცა. ამით რო ვერას გახდარა დედას დაუწყო უნუგეშო ტირილით ძალილი. ბუსხუნაც ორჯერ-სამჯერ გამოჩნდა შორიდან, მაგრამ ას-ლოს მოსვლას ვერ ჰქელავდა. ბოლოს სულაც გადაიმარა და საწყალი დათუნია დარჩა სულ მარტო-მარტო.

მთელი დღე უბედურმა ჩლახუნამ ტირილში და ყვირილში გაატარა. სალამოზე მეტათ მოქანული ჩლახუნა, ხოლო ნორას მოტანილმა ვახშამმა გამოაფხიზლა. ნორა დანაშაულათ ჰერძნობდა თავის თავს დათუნიას დედასთან იაშორებაში და ამისთვის გადასწყვიტა ჩლახუნასთვის პატრონობა გაეწია. ლამე ჩლახუნას ძალიან შესცივდა ბოძე და ძირს ჩამოვიდა მომზადებულ ლოგინზე დასაწოლათ.

ბოლო ხანებში ბუსხუნა კი ჩვეულებრივ გამოჩნდებოდა ხოლმე ნაგავთან, მაგრამ, ეტყობოდა, შვილი სრულებით დავიწყებული ჰყავდა. ნორა ძალიან უვლიდა დათუნიას. ყოველთვის დროზე ჰქონდა საჭმელი. მაგრამ, ერთხელ როგორ-ლაც ნორას უკბინა ჩლახუნამ, რისთვისაც დიდი საჯელი შიაყენეს. დათუნია რამდენიმე ხანი ებუტებოდა ნორას და გაღმუოდა, მაგრამ, როცა ძალიან მოშივდა, შეურიგდა და ამის შემდგომ დიდის პატივის ცემით ეპყრობოდა თავის მომვლელს. თავის შხრივ ნორასაც მეტათ შეუყვარდა საწყალი ობოლი.

ორი კვირის შემდეგ ჩლახუნას ვეღარ იცნობდით ისე დაჭვეიანდა და მოლბა.

ენკენისთვის ბოლოში იგი უკვე კარგათ გაწვრთნილი და გაშინაურებული დათუნია შეიქნა. ნორა ხშირათ თავი-



სუფლებას აძლევდა ჩლახუნას, მაგრამ მას ერთხელაც არ მოსურვებია ტყეში წასვლა. ნორას ისე შეეჩინა, რომ ჰალლივით უკან დასულევდა.

სასტუმრო ზამთრობით იკეტებოდა ხოლმე. სასტუმროს პატრონებმა აღარ იცოდნენ ჩლახუნა ტყეში გაეშვათ, თუ ქალაქში წაეყვანათ და იქ ზოოლოგიურ ბაღში მიეცათ, მაგრამ, ნორა წინააღმდეგი უკან ერთისაც და მეორისაც: არა-ფრით არ უნდოდა დათვის მოშორება.

სექტემბრის ბოლოში, როცა სიცივეები დაიჭირა, ჩლახუნას საშინელი ცუდი ხველა აუტყდა. ბეითალმა, რომელსაც იგი აჩვენეს, საზოგადოთ ავათმყოფთა სკნო. საზოგადოთ დათვები შემოდგომაზე სუქლებიან, ხოლო ჩვენი დათუნია პირიქით დღითი დღე ხდებოდა. დარგვალებული მუცელი უსუსტდებოდა, ხველა ემატებოდა და ერთ დღეს კიდევაც ნორამ ციცქით შეწუხებული ნახა. ნორამ საცოდავი დათუნია გადიყვანა თავისთან და იმ დღიდან ჩლახუნა სცხოვრობდა თბილს სამზარეულოში. მაგრამ ჩლახუნას ხველა სულ ემატებოდა; ცოტა მხოლოთ მაშინ დამშვიდდებოდა, როცა ნორა ხელში აიყვანდა. როგორც კი მოიშორებდა კალათაში ჩასწვენათ, ისევ თავისებურათ წკმუტუნს მოჰყვებოდა და ხველაც აუმატებდა.

რამდენიმე დღის წინათ სასტუმროს დაკეტამდე ჩლახუნამ საჭმელი აიკვეთა; ერთთავათ მისუსტებული წკმუტუნებდა, სანამ ნორა არ აიყვანდა ხელში. საზოგადოთ დათუნია მეტათ მისუსტდა; სიცოცხლის აღარა ეტყობოკარა.

ბოლოს სულ ჩაჩუმდა. ერთ დღეს, როცა ნორამ კალათაში ჩასწვინა და თვითონ დააპირა სამუშაოთ წასვლა, პატარა ჩლახუნამ საუკუნოთ დაიძინა.

(დასასრული)

გ. იაშვილისა.



ეგნატე ხინოშვილს ხსოვნას.



ოფლის სასწავლებლის მესამე განყოფილებაში ვიყავი.

ჩვენი მასწავლებელი ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე და მეტის-მეტი კეთილი კაცი უყო. ისე უყვარდით ყველა მოწაფეები, თვალში რომ ჩავვალდნოდით ხელს არ ამოისვამდა. მეტადრე უყვარდა მას ბეჯითი და კვეიანი მოწაფეები. ამავე დროს არც უნიჭ სძულდა, პირიქით ებრალებოდა ისინი და ცდილობდა, რომ იმითაც სხვებსავით კარგათ ესწავლათ.

სამაგიეროთ ჩვენც ძალიან გვიყვარდა ჩვენი მასწავლებელი. მუდამ იმის ცდაში ვიყავით, კარგათ გვესწავლა, რომ ამრთ ის კმაყოფილი დარჩენილიყო.

შენ ის კი არ იფიქრო, ჩემო პატარა მკითხველო, რომ ჩვენ მარტო გავვეთილებს ესწავლობდით. ხშირათ კერძო წიგნებსაც ვკითხულობდით, რომელსაც მასწავლებელი გვირჩევდა და გვაძლევდა. ხანდისხან თითონ მასწავლებელი გვიკითხავდა.

ჩვენ, სხვა და სხვა ქართულ წიგნების კითხვასთან ერთად „ჯეჯილის“ კითხვა, რებუსების და გამოცანების კითხვაც ძალიან გვიყვარდა. მაგრამ „ჯეჯალი“ ჩვენ ვეღარ ვთავმაყოფილებდა. ზეპირათ ვიკოლით „თორნიკე ერისთავი“, „დიმიტრი თავდაცებული“ და სხ. და სხვა ქარგი ლექსები, მეოთხე-შეხუთე განყოფილებაში ვეთხის ტყაოსანსაც კი ესწავლობდით მოთხოვბით. მასწავლებელს ესთხოვთ, გამოეწერა ჩვენოვის რამე ქარგი უურნალი და ამისთვის მოვაგროვეთ ფულიც. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შევუდექით ფულის შეგროვებას. ჩვენს კლასში „ხაზინადრათ“ მე ამომირჩია



მხანაგებმა. მეორე-მესამე დღეს პატარა ყაბალახის ყური საჭ სე მქონდა ორკაპეკიან-სამკაპეკიანებით. ორივე კლასმა რვა მანეთაძე მოვაგროვეთ და მასწავლებელს გადავეცით. ერთ კვირაში ეურნალი „კვალი“ შევიღეთ. მასწავლებელმა იმავე დღეს წაგვიკითხა მოთხრობა „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, რაც ილიან მოგვეწონა. ზიზღით ვიხსენიებდით ტარიელ მკლავა-ძეს, ხოლო მასწავლებელი სპირიდონ მცირიშვილი კი გვებრა-ლებოდა.

— ამ მოთხრობის დამწერი ახალგაზრდა მწერალი ეგნა-ტე ნინოშვილია, მისი მოთხრობა „მოამბეშიც“. არის, მაგრამ ის სახლში წაიკითხეთო — გვითხრა მასწავლებელმა. ჩვენ რაც შეიძლება აღრე კვინდოდა წაგვეკითხა. ერთ წიგნს კი ყველა-ნი ვერ წავიღებულით სახლში, ამიტომ გადავწყვიტეთ, სკოლა-ში გვეკითხა თითო საათი გაკვეთილების შემდეგ. ასეთაც მო-ვიქეცით. მეორე დღეს, რადგანაც მასწავლებელს დრო არ ჰქონდა, ჩვენ თითონ შევუდექით კითხვას.

— აბა გიგო! შენ უფრო ჩქარი კითხვა იცი — მიმართა-ლეომ გიგოს. იმანაც იღლო წიგნი, ჩახველა და დაიწყო „მო-სე მწერალი“. ჩვენ ყველანი სმენათ გაღაუიქეცით რამდენსაც მეტს ვკითხულობდით, იმდენათ უფრო და უფრო გვიტაცებ-და მოთხრობა. ხან ბრაზი მოგვდიოდა მისე მწერალზე, ხან თვალები ცრემლებით გვევსებოდა მაის და მისი შვილების სიბრალულით... ისე გავათავეთ მოთხრობის კითხვა, რომ არც შემშილი და არც დაღმება არ მოგვონებია. ყველანი გულ-დაწყეტილნი • წავედით სახლში.

ძალიან გვინდოდა გვენახა ამ კარგი მოთხრობების დამ-წერი ეგნატე ნინოშვილი, მაგრამ მისი ნახვის ღირსი კი ვერ გაეხდით, რადგანაც მან ვეღარ გაუძლო თურმე მეტის-მეტ ღა-რიბულ ცხოვრებას, სიმშილს, წყურვილს, აუტანელ ჯაფას, და ნელ-ნელა დაავათმყოფდა, ჭლეჭი გაუჩნდა და მოკვდა

მე მისი სიკვდილი შემთხვევათ გავიგე: მესამე განყოფი-ლებიდან რომ მეოთხეში გადავდიოდი, მამის სიკვდილის გამო და მეტი სილარიბის მიზეზით სწავლა მიმატოვებინეს და სტამ-ბაში მიმაბარეს, სადაც ერთხელ შემოიტანეს გვირგვინი და ზედ-



մուսակրազ լցենք Շեմդյաց ջաճիշերէս։ Ենթայք, Տապարյալ թշ՝ հալս յցնա՞յց նոն Մզոլս Շեմդյաց լոյքս։

”մյ մոշօվար, յև յայտանա
տյաց սեն ցըծարյածուցս,
հարուծ ույս մռայարյուտ,
ոմք մռուծահս առ Շենաբրուցս“-ո.

յև լոյքսո մյ կլաս՛՛ Յովիավլյ, ”գոմուրո տապարյաց ծյուլ՛՛։ մյ մաժին մռմացոնքա, հոմք յցնա՞յցս մռտերոնծյեծ Շայուտեսլո մյոնքա. հռուց ջաճրիմլոնք, հոմք ուս ՝մռայ թիյը- լուս“, „իցեն յայտանա հասնուց“-ս դա սեցա մռտերոնծյեծուս դամ- թիյըու, յցնա՞յց նոն Մզոլս, մռմզարյուս, Տա՛մոնլաձ մյունոնա. ոմազյ ճլյս մովիյը սկովա՛մո ամեանացյեծս յև Տա՛մոյնո ամծազյ.

II

Ըստ, յցնա՞յց մռմզա մի եղութեայու Ռլուս Շոնքու, մա- ցրամ մոյեցազատ ամուս ուս մասն ծյունոյր յաւատ հաստալյացա. յա-

յցնա՞յց նոն Մզոլս ուստուց լարուծու սովորուս ցլյեխու Շյո- լո ոյս, հռուցու մյ դա ծյունոյր տյաց յանո յարտ, իյթո յար- չու. Պարարառուսուս ուսու իցենսայու Ռյոյսազա մոնքուր՛՛ մռու- եծինս, իցենսայու յյե Ռուշյըլա գարծուցա, հաջանաց առա Ֆյու- լո յյեխսապմյըլո, եռոլու հոմք Ֆյունուց կուլյաց դյունուպալո մասն ու առ հասպմյացա. նամքուրու դյուա կո յցնա՞յցս առու կո աե- սովացա, սամացուրու յցնա՞յցս մամուլս մուսու, նոն, Շիյզա դյունուցա. մի մագոյրոնծաս. յցնա՞յց յյեխու տայուս ոյս դյուա հոմք մռուկազա. մի դուրութ նոն Հայինքա մաս ամրիշուցու դյուատ. նոն մի յցնա- ՞յցս Շյուրու տապուս աթալցաթիշուոմա, տայուսու նոլումանց. այս, հոմք յցնա՞յց առու կո ուրուցա, սինամ դուրու առ Շամռաթարու, տոյ նոն մուսու նամքուրու դյուա առ ոյս. յև լուտուսնոյրու այս- մունու հոմք առ յասինուրու մաս, Մյոմլյեծս ուս սպիրալու յանու մյունատ, Շյուրուցու յաւատ յամուսուլուոյս. մայրում նոնուս առ սի- լուցա մուսու յանուրուրու Շյուրուցու դարինուրուոյս. հռուց համար յանու Շյուրու յանուրու յցնա՞յցս, նոն մի Շայուսա ուս մաելուրույլ մարունարյտան, հասցմյզոնա Շոյց յյեին դա ելլու անծանու մու- սու. հաջանաց մյուլու այսու իցեսայու յուրուուոյս, Յով Տա՛մու ամուս մասն դարյուցինս դրուս յյեին դարին յամյանցարյ Ռյալ՛՛ հաջայ- ծուցա, մաս Շյուլու յատ իյարու յուրուուոյս.



ეგნატე ნიჭიერი და მუყაითი ყმაწვილი დადგა, ის ოზურ-
გეის სასულიერო სასწავლებელში პირველ განყოფილებაში
მიიღეს, მაგრამ რადგანაც ეგნატე ნიჭიერი გამოდგა, მალე
მეორე განყოფილებაში გადაიყვანეს. მან აქაც ჩქარაგასწრო
თვის ამხანაგებს და ერთი წლის გარმავლობაში ორი განყო-
ფილების კურსი შეისწავლა, რისგამოც მესამე განყოფილების
მაგიერ მეოთხე განყოფილებაში გადაიყვანეს.

ეგნატე გაკვეთილების გარდა კერძო წიგნებსაც ბევრს
კითხულობდა, ამითი ვითარდებოდა და გონება ეხსნებოდა. ის მეტის-მეტი წყნარი, კეთილი და პატიოსანი იყო, ის ყვე-
ლას უყვარდა და პატივსა სცემდენ. ამავე დროს ეგნატე პირ-
ში მთქმელი და გამბედავიც იყო. უსამართლობას და შეუ-
რაციონას არავის არ შეარჩენდა და მაშინვე პასუხს მოსთხოვ-
და, მაგრამ ეგნატეს ასეთმა მდგომარეობამ ოზურგეთში დიდ-
ხანს ვერ გასტანა, ის ამ სამართლიანობისათვის სკოლიდან დაი-
თხოვეს და აი რატომ: სასწავლებელის ზედამხედველი მეტის-
მეტი სასტიკი და გულქვავი კაცი იყო. ამიტომ ყველა მასწავ-
ლებლებს და მოწაფეებსაც ჭირივით ეჯავრებოდათ. ზამთარში,
რომ შეშა ცოტა დახარჯულიყო, სკოლის ოთახებში ეს ზედამ-
ხედველი ცეცხლის დანთების ნებას არ აძლევდა, ბავშვები კი
სიცივით კანკალებდენ. ეს ვეღარ მოითმინა ეგნატეს მასწავ-
ლებლებმა და ასეთი უკანონო საქციელისათვის უფროსს წაე-
ლაპარაკა, მაგრამ აქეთანაც არაფერი არ გამოვიდა. მაშინ
პირდაპირ საჩივარი გაგზავნა საღაც ჯერ არს, რომ ყურადღება
მოვაკიეთ, სკოლაში ბავშვები სიცივით გვეხოცება, ინ-
სპეციორი ცეცხლის დანთების ნებას არ გვაძლევსო. იმის მა-
გიერ, რომ მასწავლებელის კანონიერი თხოვნა დაეკმაყოფი-
ლებიათ, იმას სხვა ქალაქში უკრეს თავი, როგორც უფროსის
წინააღმდეგს და არა სამეცნ პირს...

ეგნატეს და მის ამხანაგებს საყვარელი მასწავლებელის
დათხოვნა მეხივით დაეცათ თავზე. რა ექნათ აღარ იცოდენ.

— ჩემო ძვირფასო მოწაფეებო! — მიმართა მეორე დღეს
მოწაფეებს მასწავლებელმა. — ჩვენი ინსპეციორის წყმლობით, მე
დამითხოვეს აქედან. ძალიან მეძნელება თქვენი მოშორება,

მაგრამ მეტი გზა არ არის, ბედს უნდა დავემორჩილო... ჩემი ერთად ერთი თხოვნა ის არის, რომ მასახელოთ, კარგათ ის-წავლოთ და ქვეყნისათვის სასარგებლო და საყვარელი კაცები გამოხვიდეთ. აქ მასწავლებელს გული აუზუყდა და ცრემლები ვეღარ შეიძაგრა.

ამ სიტყვებს ვეღარც მოწაფეებმა გაუძლეს და სასწავლებელში გულ ამოსკვნილი ქვითინი გაისმა. ეგნატე ასეთ შემთხვევაში გულ მაგარი იყო, მაგრამ ამ სურათს ვეღარც იმან გაუძლო და ლოკებზე ორი კურცხლი ცრემლი ჩამოუგორდა.

— არა, ჩვენ არ გვინდა სხვა მასწავლებელი, ჩვენ სხვა მასწავლებელთან სკოლაში არ შევალთო—გაისმოდა ცოტა-ხნის შემდეგ მოწაფეებთა შორის.

— ჩვენი მასწავლებელი ხომ ჩვენი გულისათვის დასაჯეს, მიმართა ამხანაგებს ეგნატემ,—მაშასადამე ჩვენ ვალდებული ვართ ერთხმათ მოვითხოვოთ რომ აქედან ის არ გააძონ. სანამ ამ თხოვნას არ შეგვისრულებენ—მანამდე სკოლაში ნუ შევალთ. ვინც ამის თანახმა ხართ ასწიეთ ხელით—მოწაფეებმა არამც თუ ხელი, სიხარულით ზეზე წამოიჭრენ და თანხმობის ნიშანათ ეგნატეს შემოეხვივნენ. მეორე დღეს მართლაც არც ერთი მოწაფე აღარ შესულა კლასში, ისინი სკოლის ეზოში შეგროვდენ და ამორჩეული სამი ამხანაგი უფროსს მიუგზავნეს და მოთხოვნილება წარუდგინეს. ამას შედეგათ ის მოჰყვა, რომ საჭივე დვლებატი, რომელშიაც ეგნატე ერია სკოლიდან გამორიცხეს და მასწავლებელიც მაინც გადევნეს.

ასეთმა დამარცხებამ ეგნატე და მისი ამხანაგები საშინლათ დააღმანეს, მაგრამ ამათ გული მაინც არ გაიტეხს და ეხლა კიდევ მეტი ენერგიით მოპკიდეს ხელი სწავლას სკოლას გარეთ. დადიოდენ ამხანაგებთან და ყველა იმ გაკვეთილებს, რასაც სკოლაში აძლევდენ ისინი სახლში ამზადებდენ. ამნაირათ იმათ ოთხი კლასის პროგრამა სახლში გაიარეს, მაგრამ განსხვავება იმაში იყო, რომ ეგზამენის დაჭერის და ატესტატის მიღების უფლება არ ჰქონდათ, როგორც გამორიცხულებს.

— არ მინდა ოქვენი ატესტატი და არც თქვენი „პიატეგი“, ენახოთ ერთი, შემიძლია თუ არა უთქვენოთ სწავლა-ო ამ-ბობდა ევნატე და თანდათან მეტის ენერგიით ეწაფებოდა სწავლას, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მას დამზარე არავინ ჰყავდა, რომ საჭმელ-სასმელის, ოთახის და წიგნების ფული მიეწოდებინათ. ამიტომ იძულებული იყო კიდეც ემუშავნა და კიდეც ესწავლა.

ეგნატე არავითარ საქმეს არ თაკილობდა, ოლონდ მიზ-
ნისათვის კი მიეღწია. სად არ ნახავდით მას სამუშაოთ. მუ-
შაობდა ბათუმის ქარხნაში, ეზიდუბოდა ვეება ვუთებს, ავსებ-
და ნავთით ბოჭკებს, მსახურობდა კანტორაში, იყო ასოთ
და რა არ გამოსცადა, ოლონდ ფული შეეგროვებინა, რომ
სწავლა განეგრძო. ამნაირ სხვა და სხვა ალაგას ყოფნის დროს
ეგნატემ გაიცნო მუშის ღარიბული ცხოვრება და მის მდგო-
მარებას ღრმათ ჩაუკვირდა. მუშათა ცხოვრება მოთხრობებ-
ში ასწერა. ეს მოთხრობები კი დაიბეჭდა და ხალხში გავრ-
ცელდა, მაგრამ ეგნატეს ასეთი მოთხრობების წერა არ აქმა-
ყოფილებდა. მას უნდოდა ჯერ სრული სწავლით აღჭურვილი-
ყო და ხალხის სამსახურს უფრო კარგი მომზადებით შეს-
დგომოდა. ამ მიზნით მან საზღვარ გარეთაც კი წავიდა.
მის სიხარულს სამზღვარი არ ჰქონდა: —იქ კარგათ მოვემზადე-
ბი და მერმე შეუდგები ჩემი ღარიბი მომზების დახმარებასო,
მაგრამ ეგნატეს იმედი არ გაუმართლდა. ამხანაგებმა, რომ-
ლებმაც საზღვარ გარეთ დახმარება დაპირდევ, ფულის გაგ-
ზენა ვეღარ მოუხერხეს, რის გამოც ეგნატე იძულებული შეი-
წენა ისევ სამშობლოში დაბრუნებულიყო.

ეგნატე ჯანმრთელობით სუსტი აგებულებისა იყო, მან კერ გაუძლო ღარიბულ ცხოყრებას და აშლენ აუტანელ შრო-
ბას, რის გამოც ნელ-ნელა დასუსტდა: მავრამ ის ამას ყურად-
ღებას არ აქცევდა და კიდევ უფრო მეტი ენერგიით შრო-
ბამდგა. სწერდა მშვენიერ მოთხრობებს რითაც მან საზოგა-
ლოების ყურადღება მიიპყრო, მაგრამ ნივთიერ დახმარებას კი
მაინც არავინ უწევდა. ოუმცა იცოდენ, რომ ის ხშირათ



მშიერი ცხოვრობდა. სტამბაში მუშაობის დროს მას მხოლოდ შვიდ კაპეიქს აძლევდენ დღეში და ეგნატეც ხმელა შავ პურზე და წყალზე გადადიოდა.

ასეთმა ცუდმა ცხოვრებამ თავისი დაღი დაასვა მას. ეგნატეს ფილტვები საშინლათ დაუსუსტა და ბოლოს ულმობელი და საშიშარი სენი—ჭლეჭიც გამოაჩნდა. მამიდა ნინო, რომლის ერთად ერთი იმედი ჰქონდა—მოუკვდა. კინალამ დაშავიშულა მეთქვა, რომ ეგნატეს ნამდვილი გვარი ინგოროვა იყო, მარა რაკი მას მამიდა ძალიან უყვარდა ნამდვილი გვარი ნინოშვილათ გადიკეთა და თავისი მოთხრობები ეგნატე ნინოშვილის პერვდონიმით და ბეჭდა.

მას ურჩიეს მუშაობისათვის თავი დაენებებია და საცხოვრებლათ ბათუმში წასულიყო, რომ იქნება ზღვის ჰაერი უფრო მოხდენოდა. მართლაც, ეგნატეც გაემგზავრა ბათუმში, იქ როგორც კი შეატყვეს ავათმყოფიან არც კერძო სახლში და არც სასტუმროში არავინ შეუშვა, მაშინ ის იძულებული შეიქნა მამის ღარიბ ქოხში, სოფელ ჩოჩხატში, დაბრუნებულიყო. იქ ის ლოგინათ ჩივარდა, მაგრამ კალამს ხელიდან მაინც არ უშვებდა. მისი უკანასკნელი მოთხრობა „პარტახი“ დაუსრულებელი დარჩა, ისე დალია ტანჯული სული.

ეგნატე დიდი პატივისცემით დაასაფლავეს. მისი კუბოდაფნის გვირგვინებით შეაძეს. მის დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო.

მას შემდეგ ხუთხმეტი წელიწადი გავიდა. მაგრამ ხალხს ეგნატე მაინც არ დავიწყებია. პირ იქით რაც დრო გადის უფრო აფასებს, უფრო ვრცელდება მისი მოძღვრება, მისი მოთხრობები ხალხში და პატივისცემით ყველანი ივონებენ მის სახელს. ჩვიდმეტ მაისს მისს პატივისცემლათ სხვა და სხვა ალაგას ლექციები წაიკითხეს და პანაშვიდები გადაიხადეს დიდ ძალი ხალხის დასწრებით. ხალხმა გადასწყვიტა აგრეთვე ეგნატეს ძეგლი აუკოს, რისთვისაც ფულებიც გროვდება, რომ ეგნატეს სახელი მუდამ დაუვიწყარი დარჩეს.

ხალხში გასავრცელებლად გამოიცა თითო შაურიანი ეგნატეს ორი პატარა მოთხრობა: გოგია უიშვილი და პალიასტომის ტბა.

მე მგონია თქვენც დამეთანხმები, ჩემი პატარა მკითხველო, რომ ისეთი კაცი, რომელსაც ხალხი სიყვარულით იხსენიებს მკვდარი არ არის, არამედ ის ბელნიერია და თუ ეს ასეა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეგნატე ნამდვილათ ბელნიერი ყოფილა.

სილ. თავართქილაძე.

მიღება ხელის მოწვევა 1908 წლისთვის.

ჩ რ ე ტ ა

1909 წელს გაზეთი გამოვა იმავე პრივატამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

კუთხ დღიურ გამოცემის გარდა 1909 წელს გაზეთს ეჭიქია

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ — კვირაობით.

გზეთს ფს დმტბ 6: წლით როგორც ქალაქში ისე ჭალაქ გარედ ლირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით -- 5. მან.: 10 კაბ., ერთი ოვით — 1 მან.

ცლებ ნომერი უკავშირი ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირის) 7 კაცეიკი

კრი 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანების შემოტანას, იმას მიეცემა კედლის ოვიური პატარა

კალენდარი 1909 წლისა

სურათების-მოწერა ფერ-ფერობით მიაღება მშოღლა ტფილისში:

„როგობის“ კანტორაში — იდი ვანქის ქუჩა, № 12; წერა-კიოთხვის საზოგადოების წიგნის ერაზიაში შ. ქუჩაზე შეკლანა — სასახლის ქუჩა, თავადაშნ. ქარვასლა; ნაძალალეში მეპურე, მელიტონ ღოლობერიძესთან — მავისრალი ქუჩაზე, გრიმაულ ჩარკვიანის სახლში; რვინის გზის მთავარ სახლოსნაში ვანო ქავერავაშვილთან — როკარნი ცეხი.

ხელის მოწვევითა საურადებოდ

კანტორა უძორჩილესად სთხოვს ახალ ხელის მომწერთ, თუ კინტურბა ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეერთნა, დამტარებლებს გადასცენ, იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი კვიტანციას წარუდგენენ.

ტელი-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 8-დან 3 საათამდე, საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: თიფლისი, რედაქცია „დროება“ ი. ს. აგადზე.



1909 წლის აპრილიდან გამოშენებით
უკველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ჩ ვ ი ბ ი ა ზ რ ი

იმავე პროგრამით, როგორც გამოდიოდა.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენციები ევროპაში,
სპარსეთში და სახელმწიფო დუმაში.

გაზეთის ფასი:

1 წლით.	6 თვით.	13. თვით.	1. ოქტ.
თფილისში	7 მან.	4 მან..	2 გ. 20 კ.
ქალაქ გარეთ.	7 მან.	4 მან.	2 გ. 50 კ.
საზღვარ გარეთ. 10 მან.	5 მან.	3 გან.	1 მან:
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდნ.			

ცალკე ნომერი უკლან 5 კაპ.

ხელისმოწერა მიიღება რედაქციის კანტორაში, „წერა კონსის საზოგადოების“ მაღაზიაში—შ. ქუჩუკაშვილთან, ნაძ.
ლადევის, ავჭალის, ვერის და ავლაბრის ბიბლიოთეკებში.
რედაქციის ადრესი: თფილისი, ელისაბედის ქ., სახლი № 1.

Открыта подписка на 1909 годъ на газету

„ЗАКАВКАЗЬЕ“

(ГОДЪ ВТОРОЙ)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисъ:	Съ пересылкой въ другіе города:
за годъ 6 р. — к.	за годъ 8 ½ р. — к.
за полгода 3 р. 50 к.	за полгода 4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Отдѣльныѣ №—5 коп. Загра,
ницу вдвое. За перемѣну адреса городскаго на иногородній—1 р.,
съ иногородняго на иногородній—50 коп.

Адресъ редакціи: Тифлисъ, Эриванская площадь, д Гургенова,
общій входъ съ contadorой нотаріуса Мгеброва. Редакція открыта
отъ 9-ти до 4-хъ час. дня и отъ 7-ми до 8-ми час. вечера.

Лично редакторъ принимаетъ отъ 12—1 час. дня.

Редакторъ-Издатель Г. I. Амираджиси.